დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს - თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ალინა კუპრავა
ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს თეგეტა აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 405237122

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	15	13	2
ძრავის შეკეთება	0	0	0
სავალი ნაწილის შეკეთევბა	0	0	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

2023 წლის 4 მაისის ცენტრის MES 9 23 0000500257 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრები: ალინა კუპრავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ვალერი ჯაჯანიძე - დარგის ექსპერტი) დაევალა ავტორიზაციის დებულების 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“, „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის განხორციელება შპს - თეგეტა აკადემიაში (მის: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი N129). ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 2023 წლის 17, 18 და 19 მაისს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთნ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, 1.2.1.3; 1.2.2.1; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.1; 4.2.1.2; 5.1.2.3; 5.2.2.1. ინდიკატორები შეფასდა როგორც არ შეესაბამება, მაგრამ თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, 6 თვიანი, გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		მეტწილად შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		მეტწილად შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		მეტწილად შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილად შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		მეტწილად შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები		შეესაბამება

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს თეგეტა აკადემია პირველი კერძო კოლეჯია, რომელიც თეგეტა რითეილთან თანამშრომლობით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციით ამზადებს კვალიფიციურ კადრებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთების მიმართულებით და უზრუნველყოფს კურსდამთვრებულების 100 % დასაქმებას, როგოც თეგეტა მოტორსში, ასევე სხვა კომპანიებში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

არ გაცემულა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3. შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება პასუხისმგებელი პირების გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრაში მოყვანა; სამოქმედო გეგმაში მიზნების, ამოცანების შესაბამისი აქტივობების ფორმულირება და გაზომვადი ინდიკატორების მისადაგება; სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სამუშაო აღწერილობებისა და ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა; სამოქმედო გეგმის შემუშავება დაგეგმილი მეთოდოლოგიის გამოყენებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.07.2023 – 29.12.2023 (6 თვე).

1.2.2.1 შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების როგორც შუალედური, ასევე საბოლოო ანგარიშის განხორციელება, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30.07.2023 – 30.12.2023 (5 თვე).

4.1.1.1. შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს აკადემიის სტრუქტურის გადახედვა და სტრატეგიული გეგმით შესასრულებელ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტრუქტურული ერთეულების დებულების, ფუნქციების, უფლება-მოვალეობების გადახედვა, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა და შესაბამისობაში მოყვანა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 10.08.2023 – 30.10.2023 (3 თვე).

4.1.1.2. აკადემიამ უზრუნველყოს კოლეჯში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ყველა საქმიანობის, ამოცანების დაფარვა პოზიციების მიხედვით. ასევე კოლეჯის ძირითადი და დამატებითი საქმიანობების გაწერა და სტრუქტურულ ერთეულებთან შესაბამისობაში მოყვანა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.12.2023 (4 თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1.3. აკადემიამ უზრუნველყოს კოლეჯში მიმდინარე მართვის პროცესების მიმდინარეობის ანალიზი და ანგარიშის მომზადება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა მთლიანი სტრუქტურის კონტექსტში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.11.2023 (3 თვე).

4.1.2.1. აკადემიამ უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 01.08.2023 (1 თვე).

4.2.1.2. აკადემიამ უზრუნველყოს, 2023 წლის სამოქმედო გეგმის კორექტირებისას გაითვალისწინოს პერსონალის გადამზადების ღონისძიებები და 2023 წლის ბოლომდე ჩაატაროს პერსონალის საჭიროების კვლევა, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს მათი გადამზადება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ასევე უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30.07.2023 – 30.12.2023 (4 თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2.3. აკადემიამ უზრუნველყოს, შესაბამის სტრუქტურებთან საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 02.07.2023 – 30.12.2023 (6 თვე).

5.2.2.1. აკადემიამ უზრუნველყოს, 2021 წლიდან მოყოლებული გამოცემული აქტების (ხელშეკრულებები, განცხადებები, ანგარიშები, ცნობები, მოხსენებითი/ სამსახურეობრივი ბარათები და სხვა) აღრიცხვა საქმისწარმოების დამტკიცებული წესის შესაბამისად, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 15.09.2023 (2 თვე).

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.3. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია აკადემიის ხედვაში განსაზღვრული იყოს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას და ასევე ჩანდეს განვითარების მიმართულება.

3.1.1.1. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დაწესებულებამ ჩაშალოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პროცედურა, რათა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ საშუალება მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, აღნიშნული სერვისის შესახებ.

4.2.1.1. აკადემიას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება თითოეული პოზიციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით, რაც აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული (კვლევის ჩასატარებლად განსაზღვრული კითხვარები უნდა შეესაბამებოდეს საკვლევ მიზანს) და საჭიროებისამებრ უზრუნველყონ მათი გადამზადება.

5.1.2.1.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, თუმცა რამდენდაც თანამშრომელთა ძირითადი შემადგენლობა შეცვლილია, აკადემიის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია ახალი თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.

5.2.1.4. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავოს IT ტექნიკის მონიტორინგის გეგმა და განახორციელოს ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანგარიშგება.

5.2.3.1. აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია არა მხოლოდ აკადემიის შესახებ არამედ აკადემიის ფარგლებში არსებული სატრენინგო ცენტრის შესახებ, რომლის გამიჯვნა როგორც სიახლეების ველში, ასევე წარმატების ველში სირთულეს წარმოადგენს, ხოლო ვიდეო გალერეაში წარმოდგენილია მხოლოდ სატრენინგო ცენტრის მიერ ჩატარებული პროექტები. ამ თემასთან დაკავშირებით აკადემიას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია: გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამიჯნოს აკადემიის და სატრენინგო ცენტრის ველები/გვერდები ერთმანეთისგან, ასევე სიახლეების ველში განთავსებულია სულ 4 ნიუსი, არცერთ მათგანს არ აქვს მითითებული გამოქვეყნების თარიღი, ვინაიდან კოლეჯის ვებ-გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად უნდა ასრულებდეს საინფორმაციო ფუნქციას, სასურველია შესაბამისი ინფორმაცა განთავსდეს გონივრულ ვადებში, თარიღის მითითებით.

5.2.3.4. რამდენადაც კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, სასურველია მასში აისახოს მნიშვნელოვანი მესიჯები დაწესებულების, მისი მიზნების, მისწრაფების შესახებ. კატალოგი ასევე სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისტორიის, დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც აკადემიას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

5.2.3.5.. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ამოღებულ იქნას კატალოგიდან, რომელიც განთავსებული ვებგვერდზე, ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ - სამედიცინო მომსახურებისთვის - თეგეტა აკადემიაში სტუდენტთათვის ფუნქციონირებს სპეციალურად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი სადაც პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ასევე პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. აღნიშნული სერვისი ემსახურება სტუდენტთა და პერსონალის ჯანმრთელობას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს.- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის ფართში პირველადი სამედიცინო დახმარების სპეციალურად მოწყობილ სივრცე არ არსებობს.

2.1.1.7.ვინაიდან პროგრამის შინაარსის მიხედვით საუბარია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაზე, ხოლო პროგრამის ამჟამინდელი დასახელება ზოგადია, მიზანშეწონილია პროგრამის დასახელება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემდგომი ავტორიზაციის პროცედურების დაწყებამდე დაკორექტირდეს შემდეგნაირად ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

2.2.1.2. ზოგადი მოდულების და საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ სწავლებას წარმართავს მხოლოდ ერთი პროფესიული მასწავლებელი, ვინაიდან შრომის კანონმდებლობით დასაქმებულს საჭიროებისამებრ უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულებით, საავადმყოფო ფურცლით და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიებებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებლები აღნიშნული მოდულებისთვის.

2.2.1.5. მიუხედავად სასწავლო რესურსის არსებობისა, მოდულებზე მიწერილია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული შეუსაბამო ლიტერატურა, რაც ქმნის გაურკვევლობას, თუ უშუალოდ რომელი სასწავლო რესურსი გამოიყენება მოდულის სწავლებისას, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის გადამოწმებით, ასევე პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლება შესაბამისი სასწავლო რესურსებით ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოახდინოს აღნიშნული საკითხის გადახედვა და მოდულს მიაწეროს მათ საკუთრებაში არსებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული შესაბამისი ლიტერატურა.

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

შპს თეგეტა აკადემიის მისია გამომდინარეობს და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. ის გულისხმობს სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის მხარდაჭერას, საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამზადებას და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებელების მონაწილეობის ხელშეწყობას.

ექსპერტთა შეფასებით პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რამდენდაც მიმართულია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფისკენ და ამ საქმეში დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობისკენ. ის შემუშავებულია სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს მისიის მომზადებას, როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება წარმოდგენილი ოქმებითა და შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაციით.

2 მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

შპს თეგეტა აკადემია არის მონოპროფილური დაწესებულება საავტომობილო მიმართულებით, რაც დეკლარირებულია მისიაშიც. მისი მახასიათებელია სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის მხარდაჭერა, პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. მისიით განსაზღვრულია ასევე აკადემიის როლი განათლების სისტემაში, რაც გულისხმობს საავტომობილო მიმართულებით, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და გადამზადებას.

3 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

კოლეჯის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, რაც გულისხმობს ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენებით საავტომობილო სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის შესაბამისი პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიული ზრდის უნიკალური შესაძლებლობების შექმნას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, ასევე, ის ძირითადი ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს წარმატებული საქმიანობისთვის, ესენია: გუნდური მუშაობა, სამართლიანობა და ადამიანის უფლებათა დაცვა, ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია აკადემიის ხედვაში განსაზღვრული იყოს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას და ასევე ჩანდეს მისი განვითარების მიმართულება.

4 მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

შესწავლილი დოკუმენტაციით - შეხვედრის ოქმები, მიმოწერა დაინტერესებულ მხარეებთან, უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები - დადგინდა, რომ აკადემიაში მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება და გაზიარება განხორციელდა გუნდურად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით. მათ შორის იყვნენ აკადემიის დამფუძნებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, განმახოციელებელი პირები. საჯაროობის უზრუნველსაყოფად ისინი გამოკრულია აკადემიის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე, ველში - ჩვენ შესახებ და კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზეც, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის მათ ხელმისაწვდომობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანებით N0221 დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წწ;
- https://tegetaacademy.edu.ge/storage;
- მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი https://tegetaacademy.edu.ge/ka/about;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანებით N0221 დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წწ, რომელიც შემუშავდა **დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით.** მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს და განმარტავს დაგეგმარების მიმართულებებს, შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმებს. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2018 წელს შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებისთვის, თეგეტა აკადემიის დირექტორმა დასახა კონკრეტული გეგმა და გამოიყო მისი შემუშავების პროცესის შემდეგი ძირითადი ეტაპები:

სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება - ამ ეტაპზე, სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით განისაზღვრა სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფი, მათი მოვალეობები, საბოლოო ფორმატით სტრატეგიული გეგმის შემუშავების ვადა, მტკიცებულებების ფორმები და უკუკავშირის განხორციელება დაინტერესებულ მხარეებთან

სტრატეგიული გეგმის მომზადება - განხილვა ინიცირების ეტაპზე შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტრენინგებისა და კარიერული განვითარების სამსახურის უშუალო ფასილიტაციით, განხორციელდა მეორე ეტაპი. სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების განსახორციელებლად დამატებით განისაზღვრა სტრატეგიულ გეგმაზე, მის კორექტირებაზე მუშაობის წესები, თითოეულ ნაბიჯზე განსაზღვრული ნაწილის შემუშავების პროცედურები (შეფასებაში ჩართული იყო სრული ჯგუფი, რაც დგინდება როგორც წერილობითი უკუკავშირით, ისე შეხვედრების ჩანაწერებით), დაინტერესებული პირების ანალიზი, ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ხედვის, მისიის, ღირებულებების ჩამოყალიბება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების, შესრულების ინდიკატორების და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, სტრატეგიული მიზნების გაწერა ფინანსურ ჭრილში, სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ლოგიკური ჩარჩოს შექმნა, შეფასების და მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა, შემუშავებული დოკუმენტების წარდგინება - დამტკიცება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების ეფექტურობას.

2 **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (2020-2026) ერთობლივი მუშაობის შედეგია. ის მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს. სტრატეგიული გეგმა ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს „თეგეტა აკადემიის“ განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, გამოხატავს მის ხედვებსა და პასუხისმგებლობებს ქვეყნის, საზოგადოების, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის მიმართ, ასევე აახლოვებს იდეებისა და ღირებულებების შესაბამისობას პროფესიული კოლეჯის განვითარების პერსპექტივასთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია თეგეტა აკადემიის მომავალი შვიდი წლის (2020-2026) განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს:

- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია;
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი;
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო;
- დაგეგმვის გზამკვლევი პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლებისთვის 2018;
- 2018-2020 წლის თეგეტა აკადემიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;
- 2018-2024 წლის თეგეტა აკადემიის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2019 წლის განმავლობაში თეგეტა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების და ხარისხის შეფასების მიმართულებით ჩატარებული კვლევების ანგარიშები;
- Covid - 19 -ის პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების საჭიროების ფაქტობრივი მოცემულობა;
- კანონში პროფესიული განათლების შესახებ შესული შესაბამისი ცვლილებები.
- SWOT ანალიზი;
- დაინტერესებული პირების ანალიზი;

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მეორადი გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს და ეფუძნება თითქმის იგივე მიგნებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილება გამოიწვია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის 25/ნ ბრძანებით განხორციელებულმა ცვლილებებმა.

სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა წრე, გაანალიზა მათი ინტერესები და საჭიროებები, მოლოდინები, დამოკიდებულებები და გასატარებელი ღონისძიებები. დაინტერესებული მხარეების ანალიზის დოკუმენტზე დაყრდნობით, დადგინდა საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები. შიდა ფაქტორების ანალიზმა (ძლიერი და სუსტი მხარეები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცვა სხვადასხვა სეგმენტი, მათ შორის: სწავლა-სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები; ამ პროცესისათვის შესაბამისი პირობები; ხარისხის უზრუნველყოფა; პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; სტუდენტური სერვისები; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები; შრომის პირობები; მართვის სისტემა და ა.შ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა შესაბამისი ძლიერი და სუსტი მხარეები. გარე ფაქტორებად (საფრთხეები და შესაძლებლობები) დასახელდა: განახლებული კანონმდებლობა, დამსაქმებელთა მოთხოვნები, ახალი სტანდარტები, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობის ძირითადი ასპექტები (მათ შორის, დასაქმება, კონკურენტული გარემო, მოთხოვნები არსებულ სპეციალობებზე და სხვ).

შესაბამისად ერთობლივად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ძირითადი 6 სტრატეგიული მიზანი და შესასრულებელი ამოცანები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნა ის სუსტი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც SWOT ანალიზის დროს გამოიკვეთა. თავის მხრივ სტრატეგიული გეგმა გახდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველი. შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტები დამტკიცებამდე განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2020-2026 წწ) დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. განსაზღვრულია 6 მიზანი: უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა განვითარება, ინფრასტრუქტურული განვითარება, ადამიანური რესურსების განვითარება, თანამშრომლობა განათლების სისტემაში შემავალ ინსტიტუციებთან, თანამშრომლობის განვითარება დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან კერძო სექტორში.

ექსპერტთა მიერ დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „თეგეტა აკადემიის“ 02/03/2023წ ბრძანებით №428 შეცვლილ სტრუქტურასა და დებულებაში გაუქმებული იყო რიგი პოზიციებისა, მაგ. გაუქმდა დირექტორის მოადგილის პოზიცია, დაკორექტირდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე რიგი სამსახურების/პოზიციების დასახელებები და ფუნქციები, თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ იქნა ასახული აღნიშნული ცვლილებები, რამაც გამოიწვია ის, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი პასუხისმგებელი პოზიციები/პირები აკადემიას ამ ეტაპზე არ ჰყავს და არც მათი ფუნქციებია გადანაწილებული სხვა პოზიციებზე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების ეტაპზე დაწესებულების წარმომადგენლებს ეცნობათ აღნიშნულის თაობაზე, კოლეჯის დირექტორის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნული ინფორმაციის ცვლილების შესახებ. შესაბამისად ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მის სტრუქტურასთან და დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. ექსპერტთა მხრიდან წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში, კერძოდ:

სტრაგეტიული მიზანი 1. ამოცანა 1.6. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება - სტრატეგიის მიხედვით აღნიშნული ამოცანის განხორციელება არ არის დაგეგმილი არც 2023 წელს და არც შემდეგ წლებში, თუმცა 2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ამ ამოცანის განხორციელება. ასევე ვთვლით, რომ ამოცანის მნიშვნელობიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე აუცილებელია სტრატეგიულ დოკუმენტში ყოველწლიურად დაიგეგმოს ამ ამოცანის შესრულება.

რიგ შემთხვევაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე მითითებული პასუხისმგებელი პირები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგ: **სტრატეგიულ გეგმაში მიზანი 1. ამოცანა 1.4**. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება - სტრატეგიულ გეგმაში პასუხისმგებელ პირად მითითებულია ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დირექტორი;

სტრატეგიულ გეგმაში მიზანი 1. ამოცანა 1.6. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება - სტრატეგიულ გეგმაში პასუხისმგებელ პირებად მითითებულია მარკეტინგის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, საქმისწარმოების და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დირექტორი, ხოლო სხვა პირების ჩართულობა განსაზღვრულია, როგოც შემსრულებელი და სხვა ჩართული მხარეები(გარდა დაწესებულებისა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის და არც საქმისწარმოების და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ფუნქცია მოვალეობები არ მოიცავს აღნიშნული ვალდებულების შესრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულების ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში არ არის გაზომვადი, რაც კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული. მაგალითად 1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება - შესრულების ინდიკატორია - ხარისხის განვითარების და მონიტორინგის გეგმა; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზი; პროფესიულ მასწავლებელთა და პერსონალის საქმიანობის განხორციელების შედეგები; ჩატარებული ვერიფიკაციის (შეფასების ინსტრუმენტების, პროცესის, მტკიცებულებები) პროცესი, ამსახველი დოკუმენტაცია; ჩატარებული კვლევები; (2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების და სტატუსთან დაკავშირებული მონაცემებზე კვლევა). - **ექსპერტთა მოსაზრებით გაზომვადობის კუთხით გადასახედია გეგმებში წარმოდგენილი მიზნების მიღწევის ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები. შესრულების ინდიკატორებში უნდა ჩაიწეროს ის რაოდენობრივი მაჩვენებლები ან შედეგი, რაც უნდა დადგეს, რომ აქტივობა შესრულებულად ჩაითვალოს.**

2023 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები, განხორციელების ვადები, მტკიცებულებები და შემსრულებლები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), თუმცა კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსი სრულად არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად ვერ დგინდება რა რესურსებით შეიძლება დასახული ამოცანების განხორციელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ველში **„სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა)“** განსაზღვრულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი.

რაც შეეხება პასუხისმგებელი /შემსრულებელი პირებს, ამ კუთხით ექსპერტების მხრიდან შემოწმდა წარმოდგენილი პირების სამუშაო აღწერილობები, ხშირ შემთხვევაში გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირების ფუნქცია-მოვალეობები არ მოიცავს აღნიშნულს.

ერთწლიან გეგმაში წარმოდგენილ ამოცანაში 2.3.1. ახალი, 2023-24 წლის ნაკადის მიღება თბილისის მისამართზე და ამოცანაში 3.2. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ერთ-ერთ შემსრულებელ პირად ხარისხის მართვის მენეჯერია განსაზღვრული, მაშინ როცა მისი ფუნქცია-მოვალეობები არ მოიცავს ზემოაღნიშნულს. აღსანიშნავია **ასევე, რომ ხარისხის მართვის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერის პირს/სტრუქტურულ ერთეულს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება (დეტალურად იხ,4.1.1.3).

<u>სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული პსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების (საპროგნოზო ბიუჯეტს) შესახებ, არ ჩანს რა რესურსებით აპირებს დაწესებულება კონკრეტული ამოცანის შესრულებას.</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქვესტანდარტი ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც არ არის შესაბამისობაში, თუმცა თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები: უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება პასუხისმგებელი პირების გათვალისწინებით; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრაში მოყვანა; სამოქმედო გეგმაში მიზნების, ამოცანების შესაბამისი აქტივობების ფორმულირება და გაზომვადი ინდიკატორების მისადაგება; სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სამუშაო აღწერილობებისა და ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა; სამოქმედო გეგმის შემუშავება დაგეგმილი მეთოდოლოგიის გამოყენებით და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრაში მოყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.07.2023 – 29.12.2023 (6 თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია;
- უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- მისია, ხედვა და ღირებულებები - გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე https://tegetaacademy.edu.ge/ka/about;
- გასაუბრების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

1.2.2. პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიზნები, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობების გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან თანხვედრის შემოწმებას და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, აკადემიის მიერ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესისთვის განისაზღვრა სტრატეგია, რაც გულისხმობს სამოქმედო გეგმის შეფასებას წელიწადში ორჯერ:

I -6 თვეში ერთხელ შეფასებისა და ანგარიშგების მიზანია სამოქმედო გეგმის აქტივობების გაანალიზება, აქტივობის ინდიკატორებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგების, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ტენდენციების გამოვლენისთვის. 6 თვის მონაცემების შეგროვებასა და გაანალიზებაში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

II - წლის ბოლოს, წლიური ანგარიშის მიზანია, არა მხოლოდ აქტივობის (მოსალოდნელი შედეგების) შესრულების მონიტორინგი და შეფასება, არამედ შეფასება ამოცანის/ების დონეზეც. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ცვლილებების პაკეტის მომზადებას და შესაბამისი წესის მიხედვით დამტკიცებას. საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვადაა არაუგვიანეს 12 თვის დასრულებიდან 2 კვირა და ეს ანგარიში წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, რომელიც უნდა განთავსდეს თეგეტა აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. წლიური ანგარიშის მომზადებაზე და მონაცემების შეგროვება - გაანალიზებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე, რომ სტრატეგიული გეგმის შეფასების დოკუმენტი ანგარიშის სახით უნდა შეიქმნას ორ წელწადში ერთხელ, შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების ანგარიშის წარდგენის პერიოდებად დადგენილია: 2022, 2024 და 2026 წლები. ანგარიშის მომზადებაზე და მონაცემების შეგროვება - გაანალიზებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. მისი განმარტებით მონიტორინგის შედეგები მოქმედ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინაპირობას იმ შემთხვევაში წარმოადგენს თუ:

- სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანის შესრულების ინდიკატორების 50% - არ შესრულდა;
- ოფიციალური უწყების მიერ გამოცემულია დამატებითი რეგულაციები ან/და შეცვლილია მოთხოვნები;
- ფორს-მაჟორული სიტუაციაა ან სრულიად ახალი გარემოებებია;

წლიური ანგარიშის ფორმატი მოიცავს მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში შესრულების მონაცემებს.

აკადემიამ წარმოადგინა კითხვარები, რომლებიც განსაზღვრულია მონიტორინგის მიზნებისთვის, ასევე ერთწლიანი ანგარიშები, რომლებიც ვებგვერდზეც არის განთავსებული, თუმცა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ დაწესებულებას 2020 წლიდან მოყოლებული არ ჩაუტარებია ერთწლიანი გეგმის არცერთი შუალედურ შეფასება, რაც განსაზღვრული აქვს მეთოდოლოგიით და უნდა განახორციელოს 6 თვეში ერთხელ.

რამდენადაც დაწესებულება არ ასრულებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას საკუთარი რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში, ქვესტანდარტი ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა, როგორც არ არის შესაბამისობაში, თუმცა თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი აღნიშნული ხარვეზები. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების როგორც შუალედური, ასევე საბოლოო ანგარიშის განხორციელება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30..07.2023 – 30.12.2023 (5 თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშები, რომლებშიც ასახულია განსახორციელებელი ამოცანების შესრულების შედეგები. მათში ასახულია ის მიზეზებიც, რომლებმაც გამოიწვია ამოცანების შესრულება თუ შეუსრულებლობა. ანგარიშებში წარმოდგენილი თითოეული ამოცანის შესრულების მაჩვენებლები პროცენტებშია გამოსახული.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი გეგმების ანალიზით დადგინდა, რომ 2022 წელს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა იმ აქტივობების გადმოტანა ახალ 2023 წლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც ვერ შესრულდა წინა წელს, მაგ: 2.2. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი - ვერ განხორციელდა, რამდენადაც წინა ნაკადის დამამთავრებელი პერიოდი იყო 2021 წლის დეკემბერი, ხოლო 2022 წელს ახალი ნაკადის მიღებამდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი.

3 სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

წლის შემაჯამებელი ანგარიშის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხორციელდება მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით https://tegetaacademy.edu.ge/ka/documents, რომელზეც განთავსებულია 2019, 2020, 2021 და 2022 წლების წლიური ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმები;
- შეხვედრის ოქმები, სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები;
- შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამებაა

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებაა

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**

შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 20.05.2023 წლის ბრძანებით №0448) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები; დაწესებულებისა და პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლებამოსილების მქონე სუბიექტების პასუხისმგებლობები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, მობილობის და შეწყვეტის წესები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ყველა წარმოდგენილი წესი არსებული მოთხოვნების შესაბამისადაა შემუშავებული.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და დადგინდა, რომ პროცესი გამართულად და წესისამებრ განხორციელდა.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ასევე სტუდენტის სტატუსის **შეჩერება, შეწყვეტა, მობილობასთან** დაკავშირებული პრაქტიკა, რისთვისაც გამოთხოვილ იქნა აღნიშნული პროცესების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტები. დადგინდა შემდეგი: 2022 წლის მიღების ფარგლებში 2 პროფესიულ სტუდენტს შეუწყდა სტატუსი დირექტორის ბრძანებით, სტატუსის შეწყვეტის საფუძველი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტი. კერძოდ დადგენილ ვადებში ერთი და იმავე სწავლის შედეგის განმეორებით დაუდასტურებლობა. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ რამდენჯერმე დაუკავშირდა პროფესიულ სტუდენტებს, იმის გასარკვევად, თუ რატომ არ ცხადდებოდნენ კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყების მომენტიდან, ხოლო მათ სატელეფონო საუბრისას ოჯახური მიზეზების გამო უარი განაცხადეს სწავლაზე.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სტატუსის შეჩერების, მობილობის, აღდგენის, მიღებული განათლების აღიარების შემთხვევა არ ჰქონიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე 2019 წელს მიღებული ნაკადის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, უწყისები, კომისიის მუშაობის ოქმები და კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება, ექსპერტთა მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასდა დადებითად.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის - მუხლი 12. ფორმალური განათლების აღიარება მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის შესაბამისი შიდა მარეგულირებელი აქტის საფუძველზე. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დაწესებულებამ ჩაშალოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პროცედურა, რათა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ საშუალება მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, აღნიშნული სერვისის შესახებ.

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2 პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს, რაც გულისხმობს შემდეგს: თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; მოითხოვონ სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების მიერ მათი უფლებების გაცნობის ფაქტი დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

3 პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

შეფასების სისტემის აღმწერი პროცედურა გაწერილია შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის N434[2] ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას სტუდენტების შეფასების სისტემაზე, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ, ხოლო არსებულმა სტუდენტებმა აღწერეს პროცესი, თუ როგორ ხდება შეფასებამდე მათი ინფორმირება, როგორ იგებენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდება განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4 პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების ნიმუშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. 2022 წელს მიღებულ ყველა არასრულწლოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის ხელშეკრულებას ხელს აწერს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი და პროფესიული სტუდენტი. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.**

5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანებით N428[1] დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განმარტავს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სსსმ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შშმ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. წესი განმარტავს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს ასევე გარე/შიდა მობილობისა და სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, ხოლო წესის შესწავლით დასტურდება, რომ ის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის შემუშავებული და საჭიროების შემთხვევაში აკადემია შეძლებს განახორციელოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავება შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 20.05.2023 წლის №0448ბრძანება) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის და კვალიფიკაციის მინიჭებასტან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანება N428 1 დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების მიერ ასახული ინფორმაცია;
- პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები და ფაქტობრივი გარემოებები;
- შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის N4342ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- პსდ ოფიციალური ვებ- და სოციალური გვერდები;
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 30 მარტის №438[1] ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებს აკადემია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისთვის, როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია აკადემიის მიზანი, რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობას; სტუდენტების ადაპტირებას ერთმანეთთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, აკადემიის პერსონალთან და ადმინისტრაციასთან; სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას; აკადემიის მოქმედი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მომზადებას მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის, აკადემიაში ადეკვატური და უსაფრთხო გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნით; სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობით პროფესიულ ორიენტირებას დასაქმებასა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან ხელი შეუწყონ მათ როგორც პროფესიული განათლების მიღების პროცესში, ასევე ქმნიან შესაბამისს გარემოს მათი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ახორციელებენ მათ აქტიურ მხარდაჭერას, განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე მუდმივად იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამასთან, მათი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით.

აკადემიის ადმინისტრაციამაც გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს პროფესიულ სტუდენტს ნებისმიერი სახის, მათ შორის ტექნიკური დახმარება, ასისტირება და მენტორინგი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით

2 პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე აკადემიის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით ეწყობა გაცნობითი სახის შეხვედრები ყოველი ახალი ნაკადის სტუდენტებისთვის. აკადემია უზრუნველყოფს თითოეულ სტუდენტის წვდომას აკადემიის სერვისებზე და აწვდის მათ ინფორმაციას აკადემიის შენობის, გარემოს, ადმინისტრაციის, სერვისებისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის, აკადემიის შიდა ნორმატიული აქტების, პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობების შესახებ. აკადემიაში, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციების ჩატარება. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.

პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო, კარიერის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან ერთად, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აცნობს აკადემიის სერვისებს და ინფრასტრუქტურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

პროფესიულ სტუდენტებთან და აკადემიის პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადებში, რაც გაწერილია აკადემიის „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტში და რომლის თანახმად მომსახურების გაწევის (ცნობის, სერტიფიკატის, დიპლომის გაცემას, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობას, წინარე განათლების აღიარებას და სხვა.) მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

4 პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

აკადემია ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების მხრიდან წარმოდგენილი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მათ მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება აკადემიისა და სტუდენტების საერთო მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან წარმოდგენილი ინიციატივა შესაძლოა გულისხმობდეს სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, საექსკურსიო-შემეცნებით, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობას, ასევე არაფორმალურ განათლებას.

ყოველივე ზემოთქმული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთაბ გასაუბრებით, რომლებაც გვამცნეს, რომ მათი ინიციატივით დაიგეგმა შეჯიბრი ფეხბურთში, რომელსაც ისინი პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ჩაატარებენ.

5 პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აკადემიაში დაიგეგმა და განხორციელდა სტუდენტთა კვლევა. შეფასების სისტემების შექმნაში და განხორციელებაში ჩართულები იყვნენ თეგეტა აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული მასწავლებლები და კარიერის მართვის მენეჯერი. 2023 წლის კვლევის მიზნად განისაზღვრა სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მოსაზრებებისა და შეხედულებების იდენტიფიცირება, სტუდენტთა ინფორმირებულობის განსაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულის მისიის, აკადემიის მიზნების შესახებ; მათი ინფორმირების გზების დადგენა დაწესებულების მისიის ხედვისა და ღირებულებების შესახებ, ასევე მატერიალური რესურსის მოხმარების, უსაფრთხოების, სწავლების პროცესის და სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით. კვლევა ჩატარდა ელექტრონული კითხვარით, ღია და დახურული შეკითხვების საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 11 რესპოდენტმა. კლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესული კოლეჯის სტუდენტები ინფორმირებული არიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების **მისიის შესახებ,** სტუდენტეთა უმრავლესობა თვლის, რომ თეგეტა აკადემიის მისია პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ემსახურება.

კითხვარი მიმართული იყო ასევე **პროგრამის შეფასებისკენ.** მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით - სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას მისცემს მათ მარტივად დასაქმდნენ. მისაღები აღმოჩნდა მოდულებზე გამოყოფილი დრო და ჯგუფში სტუდენთა რაოდენობაც, პროფესიული მასწავლებლების მიდგომები და ასევე ის მატერიალური რესურსები, რასაც თეგეტა აკადემია სთავაზობს მათ.

კვლევა ეხებოდა პროფესიულ **სტუდენტთა უფლებების** დაცვის საკითხებსაც, რამაც აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას მათი უფლებები გააცნეს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარეგისტრირებისთანავე, ხელშეკრულების გაფორმებისას ან პირადი გასაუბრების დროს. პროფესიულმა სტუდენტებმა შეავსეს ასევე კითხვარი, რომლის მიზანი იყო დაედგინათ მათი დამოკიდებულება და შეხედულებები **ადამიანურ, მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებთან დაკავშირებით.**

ყოველივე ზემოთქმული დადასტურდა სტუდენტებთან პირისპირ გასაუბრების დროსაც, რომელიც ვიზიტის პერიოდში ჩატარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ხშირად ჩაატარებენ მსგავს კვლევებს, შეიმუშავებენ სხვა ტიპის კითხვარებსაც და პროფესიული სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს გაითვალისწინებენ მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 30 მარტის №438[1] ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტი, პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი;
- დოკუმენტები განხორციელებული და დაგეგმილი (სპორტული) სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/პროექტების და სხვ. შესახებ
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული მომსახურების მიწოდებას ახორციელების კარიერის მენეჯერი, რომელიც სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, დასაქმებასა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის, ახორციელებს შეხვედრებს, საინფორმაციო ღონისძიებებს და საჭიროებისამებრ სტუდენტებს უწევს შესაბამის კონსულტირებას.

აკადემიაში შემუშავებულია ტრენინგ-მოდული, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებას, მოდული ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს ისეთი უნარები, როგორიცაა დასაქმების ბაზებში ვაკანსიების მოძიება, რეზიუმეს წერა, სამოტივაციო წერილის შედგენა. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსები, რომლებიც მომზადებულია პარტნიორი კომპანიის საჭიროებების შესაბამისად, შიდა რესურსის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და დასაქმების ბაზრის კვლევას და შედეგების ანალიზს იყენებს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

ყოველივე ზემოთქმული დაგვიდასტურეს აკადემიის კურსდამთავრებულებმა, გასაუბრების დროს, რომლებიც თეგეტა მოტორსში არიან დასაქმებული, ხოლო ერთერთი მათგანი აკადემიის პროფესიული მასწავლებელია.

2 პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ზემოხსენებული კვლევის (იხ, 3.2.1.5) მონაწილეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აფიქსირებს რომ აქვთ კომუნიკაცია დაწესებულების კარიერის მენეჯერთან და შეუძლიათ მასთან ნებისმიერ საკითხზე კომუმინიკაცია. კვლევის შედეგებით დგინდება ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ კარიერის მენეჯერი უზრუნველყოფს დამსაქმებელთა განახლებადი ბაზის შეთავაზებას როგორც მოქმედი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე კურდამთავრებულებისთვის.

3 პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

აკადემიაში ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევა ემსახურებოდა პროფესიული კოლეჯის დასრულების შემდეგ სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივას და კურსის შეფასებას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენმა სტუდენტმა შეძლო ახლადშეძენილი პროფესიით დასაქმება. კვლევის მეორე მიზანს წარმოადგენდა დასაქმებით კმაყოფილების კვლევა. მიღებული მონაცემების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, 82% დასაქმდა თეგეტა ჰოლდინგში შემავალ კომპანიებში. მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული დასაქმდა სხვა კომპანიაში და ერთი მათგანი არ დასაქმებულა პროფესიით, რადგან შეეცვალა ინტერესის სფერო და უარი თქვა ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების მიმართულებით დასაქმებაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, ორი სტუდენტის განსაკუთრებული მიღწევები პროფესიული კუთხით. ერთი სტუდენტი დასაქმდა კონსულტანტად (ელექტრო ტექნიკოსების ჯგუფის მრჩეველი) და ასევე თეგეტა აკადემიაში ტრენერად, სადაც შპს. თეგეტა რითეილის თანამშრომლებს ასწავლის ელექტროობას, ხოლო მეორე დასაქმდა პორშეს სერვის ცენტრში.

აკადემიის კარიერის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემია კვლავაც გეგმავს კურსდამთავრენულთა გამოკითხვას და საჭიროების შემთხვევაში მათ დასაქმებაზე ზრუნვას.

4 კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ მის მიერ შესწავლილ იქნა სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემების შედეგები და ანალიზის შედეგად იგეგმება რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 30 მარტის №438[1] ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტი;
- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი;
- აკადემიაში ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია;
- აკადემიაში ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- კარიერის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4 ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დირექტორის ბრძანებით №044[9] დამტკიცებულია შპს „თეგეტა აკადემიის“ ახალი სტრუქტურა და დებულება, რომელიც, ეფუძნება კოლეჯში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამატებითი პროცესების განხორციელების მიდგომას და მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

1.მმართველობითი საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს წარმოადგენენ: ა) აკადემიის დირექტორი; ბ)ხარისხის მართვის მენეჯერი;

2.სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურულ ერთეულში შედიან:

ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი; ბ)კარიერული მართვის მენეჯერი; გ) პროგრამის ხელმძღვანელი: დ) პროფესიული მასწავლებელი; ე) ბიბლიოთეკარი;

3.ადმინისტრაციული საქმიანობის განმახორციელებელ სტურქტურაში შედის: ა) საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი; ბ) რეესტრის მწარმოებელი; გ) ბუღალტერი; დ) იურისტი; ე) ფინანსური მენეჯერი; ვ) მარკეტინგის მენეჯერი;;

ზ) ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; თ) ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი (IT) .

თანამდებობრივი ინსტრუქციაში, გაწერილია შესაბამისი სამსახურის/პოზიციის ფუნქციები- მოვალეობები, რომლებიც არ არის სწორად განსაზღვრული. მაგ. აღნიშნული დებულების მუხლი 7-ის შესაბამისად - ხარისხის მენეჯერი საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს აპლიკანტთა შერჩევის პროცესში, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. ასევე არის შემთხვევები, როცა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანის შესრულებაზე მითითებულ პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირის ფუნქცია-მოვალეოებებში არ არის გაწერილი კონკრეტული უფლებამოსილება/ვალდებულება, ასევე მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველსაყოფად აკადემიაში შემუშავებულია სათანადო წესი - შპს „თეგეტა აკადემიის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რომლის თანახამად აღსრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსს, თუმცა მის უფლება მოვალეობებში მსგავსი პასუხისმგებლობა არც აკადემიის დებულებაში და არც სამუშაო აღწეილობაში არ არის მითითებული.

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით იკვეთება, რომ პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას, შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“, თუმცა თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი აღნიშნული ხარვეზებიც, შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და კოლეჯს მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები: უზრუნველყოს აკადემიის სტრუქტურის გადახედვა და სტრატეგიული გეგმით შესასრულებელ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტრუქტურული ერთეულების დებულების, ფუნქციების, უფლება-მოვალეობების გადახედვა, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა და შესაბამისობაში მოყვანა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 10.08.2023 – 30.10.2023 (3 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს თეგეტა აკადემიასა და შპს თეგეტა მოტორსს შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების, საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ N0198, თანახმად შემსრულებელი (შპს თეგეტა მოტორსი) იღებს ვალდებულებას დამკვეთს (შპს თეგეტა აკადემიას) გაუწიოს მომსახურება შემდეგი მიმართულებებით: ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების მართვასთან დაკავშირებული მომსახურება; მარკეტინგული მომსახურება; არაკომერციული შესყიდვების მიმართულებით მომსახურება; ინვესტორებთან ურთიერთობის მომსახურება;ფინანსური და აუდიტის მომსახურება; ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებული მომსახურება; უსაფრთხოების მიმართულებით მომსახურება; ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურება.

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თითოეული მომსახურების შინაარსი, აქტივობები და საფასური, რომელიც კონკრეტულ მომსახურებაში უნდა გადაიხადოს თეგეტა აკადემიამ. ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს გენერალური ხელშეკრულების პირობები და ასევე წლების განმავლობაში თეგეტა მოტორსისაგან მიღებული მომსახურებების დეტალები, მათ შორის ანგარიშები და მიღება-ჩაბარებები, რომლითაც დასტურდება რომ კოლეჯი ნამდვილად იღებს შესაბამის მომსახურებებს.

2 პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად არ მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და მიზნებს უკავშირდება. ასევე რიგ რეგულაციებში განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციების დამატებითი პასუხისმგებლობები სხვადასხვა აქტივობების შესრულებაზე, თუმცა მათი ფუნქცია-მოვალეობები არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ აქტივობების შესრულებას. ასევე არის შემთხვევები, როცა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირის ფუნქცია-მოვალეოებებში არ არის გაწერილი კონკრეტული უფლებამოსილება/ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე __პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. **შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“, თუმცა აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიან გეგმაში, გაწერილია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები. შესაბამისად კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს კოლეჯში არსებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ყველა საქმიანობის, ამოცანების დაფარვა პოზიციების მიხედვით, ასევე კოლეჯის ძირითადი და დამატებითი საქმიანობების გაწერა და სტრუქტურულ ერთეულებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.12.2023 პერიოდით (4 თვე).

3 პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

2023 წლის 17 მარტის N431[1] ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყფის სისტემა, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება დემინგის ციკლს.

20/05/2023 წლის ბრძანება №0449 ცვლილებებით დამტკიცებულია შპს „თეგეტა აკადემიის“ დებულება, მუხლი 7. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს: ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, ასევე ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას; ხელს უწყობს აკადემიაში სწავლების მაღალი ხარისხის დაცვა/შენარჩუნება/განვითარებას, რისთვისაც ზრუნავს სწავლა–სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწასა და განვითარებაზე; საჭიროებათა კვლევის საფუძველზე გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად; ახორციელებს პროფესიული მასწავლებელთა და განმახორციელებელი პირების მუშაობის მონიტორინგს; ზედამხედველობს აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხს; ახორციელებს ვერიფიკაციას შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შესაბამისობის კუთხით; უზრუნველყოფს აკადემიის მიერ განხორციელებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კანონმდებლობის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს; მუდმივად ზრუნავს ხარისხის გარე და შიდა შემოწმების ეფექტური მექანიზმების შექმნა/სრულყოფასა და დანერგვაზე; პერიოდულად ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის; ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა ან/და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებულის დახვეწა/მოდიფიცირების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ახორციელებს სტუდენტთა, პერსონალის, მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევას; ახორციელებს პერსონალის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას; პროგრამის დამტკიცებამდე, დირექტორს წარუდგენს პროგრამის შესაბამის სტანდარტებთან და ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობის დასკვნას; ახდენს მასწავლებელთა, ინსტრუქტურთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ხელს უწყობს პროფესიული განვითარების ღონისძიეებში ჩართვას; ახორციელებს კოლეჯში არსებული ძირითადი და დამატებითი პროცესების შეფასებას და მონიტორინგს; ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული პერიოდულობით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და ადგენს საბოლოო ანგარიშის/ებს.

აღნიშნული დებულების მუხლი 7-ის შესაბამისად (ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, ქვეპუნქტი ტ), ხარისხის მართვის მენეჯერი საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს აპლიკანტთა შერჩევის პროცესში, ასევე დაწესებულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რიგი სხვა ფუნქციები გულისხმობს კონკრეტულ პროცესებში მის, როგორც შემსრულებელი პირის მონაწილეობას, რაც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. შესაბამისად იგი ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალ კონცეფციასთან.

განხორციელდა ინტერვიურება, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხსმგებელ პირთან, მათ აღნიშნეს რომ იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებას, აუცილებლად მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა ინტერესთა კონფლიქტი გამოირიცხოს.

<u>დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით იკვეთება, რომ პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და მასზე დაკისრებული მოვალეობები შეუსაბამოა ერთმანეთთან და ინტერესთა კონფლიქტს იწვევს, რაც მიუთითებს დაწესებულების მიერ პროცესების მართვის მიდგომების გააანალიზების აუცილებლობაზე.</u>

შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიან გეგმაში, გაწერილია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, აქდან გამომდინარე კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს კოლეჯში მიმდინარე მართვის პროცესების მიმდინარეობის ანალიზი და ანგარიშის მომზადება, ასევე გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობებს მთლიანი სტრუქტურის კონტექსტში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.11.2023 პერიოდით (3 თვე).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.
- წესდება, დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უხრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „შინაგანაწესი “ და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი. პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია შემდეგი პროცედურები: მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, პროფესიული განვითარება.

შრომის შინაგანაწესით განსაზღვრულია: კოლეჯის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღის დაწყების და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და სხვა კანონმდებლობით განაზღვრული ვალდებულებები. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. დასაქმებულ პირებთან, მათ შორის ახალდასაქმებულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

პროფესიული განათლების შესახებ კანონის მუხლი 28[1] თანახმად: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. **ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ მუხლი 7-ის შესაბამისად** საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის/უფლებაჩამორთმეული პირის დასაქმება აკრძალულია. კანონის ამ მუხლების თანახმად დაწესებულება ვალდებულია პირს, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე მოსთხოვოს ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას. დამსაქმებელი ვალდებულია ზ/აღნიშნული მოთხოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება გაწეროს პერსონალის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში და აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული პერსონალის პირადი საქმე. **ექსპერტთა მხრიდან ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ცნობები არ არის განთავსებული ყველა პირად საქმეში, შესაბამისად პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად. ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის მიერ წარმოდგენილ - დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 01.08.2023 პერიოდით (1 თვე). შესაბამისად, ექსპერტთა მიერ აკადემიას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პოზიციების შესაბამის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შედგენილია განსხვავებული თანამდებობებისათვის ინდივიდუალურად და რომელთა შესაბამისადაც ხდება პერსონალის შერჩევა და შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა.

გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ არსებული პერსონალის დანიშვნა განხორციელებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანების გაცნობა დასტურდება გაცნობის ჟურნალში ხელმოწერით და გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

კოლეჯში დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან. ექსპერტთა შეფასებით კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რელევანტურია შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად. პირადი საქმეების შესწავლის შედეგებით დასტურდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

4 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პერსონალის მართვის არსებული მოდელებიდან თეგეტა აკადემია უპირატესობას ანიჭებს ვალდებულებასა და ჩართულობაზე დაფუძნებულ მიდგომას, შესაბამისად კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი მისი პოზიციისა და ფუნქციების შესაბამისად მონაწილეობას იღებს კოლეჯში მიმდინარე პროცესებში და დოკუმენტების შემუშავებაში. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებებია: ოქმები, ხელმოწერილი ფურცლები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სტრუქტურული სქემა;
- სამუშაო აღწერილობები და „სტრუქტურული ერთეულების დებულება“;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი;
- პირადი საქმეების და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1 **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

აკადემიის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესი ერთწლიანი ციკლური პროცესია და მოიცავს, როგორც პროფესიულ მასწავლებელთა, ასევე პერსონალის საქმიანობის შეფასებას, რასაც მიზნად დასახული აქვს პერსონალის მიღწევებისა თუ წარუმატებლობის გამოვლენა, შემდგომი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსასაზღვრად და შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად.

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით (წელიწადში ერთხელ, წლის ნებისმიერ დროს) ხორციელდება როგორც პროფესიულ მასწავლებელთა, ასევე პერსონალის საქმიანობის, მიღწევების და პროფესიული უნარჩვევების შეფასება, მაქსიმალურად მორგებული შეფასების მეთოდის გამოყენებით და წინასწარ შემუშავებული კითხვარით. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და თანამშრომელი განიხილავენ ინდივიდუალური შეფასების შედეგებს და ადგენენ განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: არსებული პრობლემის განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება, იმ სფეროების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება-ტრენინგები.

აკადემიამ წარმოადგინა ერთერთი ასეთი კვლევის ანგარიში, რომლის თანახმად კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი. მონაცემთა შეგროვება მოხდა კონკრეტული ფოკუს ჯგუფიდან ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, რომელიც

სრულად ანონიმური და კონფიდენციალური იყო. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6 თანამშრომელმა, ჩართული იყო ყველა რგოლის წარმომადგენელი. ზოგად კითხვებთან ერთად, რომელიც ეხებოდა აკადემიის ინსტიტუციურ მოწყობას, დასმული იყო შეკითხვაც -სამსახურეობრივი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით, საჭიროებთ თუ არა რაიმე საკითხზე დამატებით ტრენინგს, კონსულტირებას? პასუხები გამოიყურება შემდეგნაირად: 60 % ფიქრობს, რომ ნაწილობრივ ესაჭიროება, 20 პროცენტი საჭიროებს კონსულტრებას და მხოლოდ 20 პროცენტს ესაჭიროება ტრენინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ გამოვლენილი უზუსტობების გათვალისწინებით, აკადემიას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - განახორციელონ პერსონალის საქმიანობის შეფასება თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით, რაც აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული (კვლევის ჩასატარებლად განსაზღვრული კითხვარები უნდა შეესაბამებოდეს საკვლევ მიზანს) და საჭიროებისამებრ უზრუნველყონ მათი გადამზადება.

2 პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით; „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის თანახმად სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და თანამშრომელი განიხილავენ ინდივიდუალური შეფასების შედეგებს და ადგენენ განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: არსებული პრობლემის განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება, იმ სფეროების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება-ტრენინგები. აკდემიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და საჭიროებისამებრ უტარებენ შესაბამის ტრენინგებს, როგორც შიდა, ასევე გარე ძალებით, კერძოდ შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საფუძველზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 ს/წლის სამოქმედო გეგმით პერსონალის განვითარება დაგეგმილი არ არის და არც სამუშაო გეგმა არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე პერსონალის განვითარება, დაწესებულების მიერ, არ ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების და გეგმის შესაბამისად. **შესაბამისად ქვესტანდარტი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც - არ შეესაბამება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის მიერ წარმოდგენილ - დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30.07.2023 – 30.12.2023 პერიოდით (4 თვე). შესაბამისად, ექსპერტთა მიერ აკადემიას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია: 2023 წლის სამოქმედო გეგმის კორექტირებისას გაითვალისწინოს პერსონალის გადამზადების ღონისძიებები და 2023 წლის ბოლომდე ჩაატაროს პერსონალის საჭიროების კვლევა, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს მათი გადამზადება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ასევე უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა.
ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პროფესიული მასწავლებლების პირად საქმეებში განთავსებული სერტიფიკატების გაცნობის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ აკადემიის პროფესიული მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ და ასევე მასწავლებელთა სახლის ორგანიზებულ ონლაინ-ტრენინგებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები.

4 პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, რაც განსაზღვრულია „პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით მუხლი 9. პერსონალის დანიშვნის და ინტეგრაციის წესი - მოთხოვნილი პირადი დოკუმენტაციის საქმისმწარმოებელთან სრულყოფილად წარდგენის შემდგომ, ახალი თანამშრომლის/პროფესიული მასწავლებლის ინტეგრაციისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტირების მიზნით, დირექტორი წარუდგენს მას დანარჩენ თანამშრომლებს, აცნობს დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, პერსონალის მართვის ერთიან პოლიტიკას, თავის სამუშა ადგილს, გადასცემს კალამს დაწესებულების ლოგოთი, სამუშაო ბლოკნოტს და შინაგანაწესს, სამუშაო აღწერილობებისა და უფლება-მოვალეობების გაცნობის შემდეგ უსურვებს წარმატებულ საქმიანობას. პროფესიულ მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ისინი ჩართულები არიან კოლეჯის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში, ერთ გუნდად მუშაობენ და ქმნიან თანამშრომლობით მეგობრულ გარემოს ყველა ახალი კადრისთვის.

5 პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

აკადემიის პერსონალთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა ასევე, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას ინიცირების შესაძლებლობის შესახებ, ხშირად იყენებენ ამ უფლებას და აკადემიის დირექციასთან ერთობლივად გეგმავენ გასვლით ღონისძიებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიის დებულება;
- 2022 ს/წლის ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ახალი რედაქცია დირექტორის ბრძანება N 431[1] (17.03.2023);
- აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- ტრენინგების და შეხვედრებისა ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროფესიულ მასწავლებლებთან.

შეფასება:

☐შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9 ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11 მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების, იჯარის ხელშეკრულების, რეესტრის ამონაწერის და ასევე აზომვითი ნახაზების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულება (საკადასტრო კოდი N 01.72.14..013.442) მდებარეობს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანი N129. აკადემია განთავსებულია 284 .00 კვ.მ და 148 კვ.მ. ფართზე რომელიც თავის მხრივ განთავსებულია შპს „თეგეტა-მოტორსის“ (ID ნომერი: 202177205) მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში N9 და N10 საერთო ფართით 7328.3 კვ.მ. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2018 წლის 03 იანვარს და ვადად განსაზღვრულია ავტორიზაციის პერიოდი.

თეგეტა აკადემია მდებარეობს მესამე სართულზე და მოიცავს 1 - A გარმოს (40 კვ.მ.) 1 A-C გარემოს (51.2 კვ.მ.), 1- B გარემოს 26.6 კვ.მ. 1 ბიბლიოთეკას, 1 ადმინისტრაციულ სივრცეს, 1 დირექტორის კაბინეტს, სამზარეულოს და 2 სველ წერტილს. შენობის 0 სართულზე განთავსებულია C გარემო (148 კვ.მ.)

A და AC გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების 15-15 მაგიდით და სკამით, დაფით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. AC გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, ინტერნეტ მონიტორით prestigio multiboard 70". B გარემო, რომელშიც განთავსებულია 15 +1 ლეპტოპი (პროფესიული მასწავლებლისთვის) და დამონტაჟებულია პროექტორი განკუთვნილია ასევე 15 პროფესიული სტუდენტისათვის. მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტთათვის რეკრეაციული სივრცედ გამოყოფილია სასადილო ოთახი, ადმინისტრაციის ოთახში განთავსებულია 10 მაგიდა, 10 კომპიუტერი 1 შავ-თეთრი და 1 ფერადი ქსეროქსის აპარატი.

მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების შრომის შინაგანაწესის (მე-3 თავი „სასწავლო შინაგანაწესი“ მუხლი 21.1.2) თანახმად სტუდენტს უფლება აქვს თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით. ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აკადემიაში შემუშავებულია სათანადო წესი - შპს „თეგეტა აკადემიის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესი რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2023 წლის 17.03. №430[1] ბრძანებით და რომლის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა, ამავე დოკუმენტის თანახმად, ეკისრება საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსს (იხ. 4.1.1.2). თუმცა დირექტორის ბრძანებით ეს საქმე დავალებული აქვს ერთ-ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც მასწავლებლის უფლება-მოვალეობების პარალელურად ასრულებს შეთავსებით სამუშაოს და შრომითი ხელშეკრულებით არის სრული განაკვეთით კოლეჯში დასაქმებული. წარმოდგენილი დოკუმენტით, რომლის მიზანს წარმოადგენს აკადემიის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა, განსაზღვრულია მატერიალური რესურსების შესყიდვის პროცედურა, მატერიალური რესურსების მოვლა-შენახვა და გამოყენება, მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება და განკარგვა და ასევე აკადემიის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ვალდებულებები, რაც გულისხმობს როგორც საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილ, ისე უშუალოდ მათთვის გადაცემულ ინვენტარსა და მატერიალურ ფასეულობების დაცვას და გაფრთხილებას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ აკადემიის მატერიალური ფასეულობები იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. თეორიული სწავლებები მიმდინარეობს კომფორტულ აუდიტორიებში. აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, თითოეულ აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი. უსადენო ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია აკადემიის მთელ ტერიტორიაზე. აკადემიის პერსონალი და პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, ბიბლიოთეკით, რეკრეაციული სივრცით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად, ჰეგეტა აკადემიას, თეგეტა მოტორსთან გაფორმებულ გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად დადებული აქვს დამატებითი შეთანხმება (03 ივლისი, 2020წ.) რომელიც თავის მხრივ გაფორმებულია (03.07.2020) შპს „თეგეტა მოტორსს“, შპს „თეგეტა აკადემიას“ და შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტსა“ შორის დასუფთავების მომსახურებაზე.

დამატებითი შეთანხმების თანახმად შემსრულებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკისა და ჯერადობის შესაბამისად ახდენს დამკვეთის საკუთრებაში და იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აკადემის მფლობელობაში არსებული ფართის დასუფთავებას. შეთანხმებას თან ახლავს დანართი N 1, რომელშიც აღწერილია შესასრულებელი სამუშაო.

ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება, რომ აკადემიაში, მათ შორის სველ წერტილებში სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. შესასვლელში და ყველა სივრცეში განთავსებულია სანიტაიზერები, ჰიგიენური საშაულებები.

4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

თეგეტა აკადემიის მფლობელობაში არსებული სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საფუძველზე, თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე - აკადემიისთვის გამოიყო სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. კერძოდ უსაფრთხოებისა და მონიტორინგის ოფიცერი და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე შრომის უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი.

წარმოდგენილი ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2019 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედების ვადად განისაზღვრა 2 წელი, თუმცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ რომ თუ ისინი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) კვირით ადრე წერილობით არ განუცხადებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველ ჯერზე 2 (ორი) წლით (მუხლი 9.1). შესაბამისად ხელშეკრულება ძალაშია და თეგეტა მოტორსი შესაბამის მომსახურებას უწევს თეგეტა აკადემიას.

ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორისაა: უსაფრთხოების მიმართულების მომსახურება (დანართი 1.8. შესაბამისად);

უსაფრთხოების მიმართულების მომსახურების (დანართი 1.8.); შესაბამისად „თეგეტა მოტორსი“ იღებს ვალდებულებას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვაზეც, რაც გულისხმობს: დამკვეთის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; დამკვეთის მფლობელობაში არსებულ ობიექტზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას; დამკვეთისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას; სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების შემთხვევაში და საშიში შემთხვევების აღრიცხვას, რეგისტრაციას, მოკვლევებს და ანგარიშგებას; დასაქმებულთათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარებას; საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების და საკონტროლო/პრევენციული ღონისძიებების დოკუმენტირებასა და განხორციელებას, შრომის უსაფრთხოების კუთხით მოქმედი კანონმდებლობით, მთავრობის დადგენილებებით და ნორმატიული აქტებით მოთხოვნილი სხვადასხვა ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებას; გარემოსდაცვითი შეფასების აუდიტს, გარემოსდაცვითი ასპექტების შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს საწარმოს ოპერირება გარემოს კომპონენტებზე (მიწა,წყალი, ჰაერი) და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების და გარემოს დაცვის მონიტორინგის გეგმების შედგენას; ნარჩენების ინვენტარიზაციას; შესაბამისი კითხვარების, ჟურნალების და აქტების შედგენა-წარმოებას და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის დირექტორთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი პირი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად პერიოდულად ახორციელებს რისკების შეფასებას, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას, ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები.

2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის თანხმად, რომელიც ვებგვერდზეც არის გამოქვეყნებული, ასევე თანამშრომლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი აქტებით, დადასტურდა რომ 2022 წელს აკადემიის ადმინისტრაციას ჩაუტარდა ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი“, რომლითაც თითოეული თანამშრომლისთვის დეტლურად იყო აღწერილი უსაფრთხოების ნორმები და მათი დაცვის საშუალებები.

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია ასევე დირექტორის ბრძანებით N 0232, (14 ივლისი, 2020წ.) დამტკიცებული „პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“, რომელიც შეიცავ საფრთხეების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეიძლება შეხება ჰქონდეს აკადემიაში დასაქმებულს ჩვეულებრივი საოფისე სამუშაო პროცესის დროს.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და წარმოდგენილი ხელშეკრულებით დასტურდება აკადემიაში **შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა.**

6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

შპს „თეგეტა აკადემიის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესით განსაზღვრულია მატერიალური რესურსების შესყიდვის პროცედურა, მატერიალური რესურსების მოვლა-შენახვა და გამოყენება, მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება და განკარგვა აკადემია მატერიალური რესურსების შესყიდვას ახდენს აკადემიის პერსონალის ან/და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისი პირი აკადემიის დირექტორს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული საქონლის შეძენის საჭიროების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავის მხრივ აკადემიის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული მატერიალური რესურსის შესყიდვის თაობაზე, რაც განსაზღვრულია აკადემიის დებულებითაც (აკადემიის ინტერესების გათვალისწინებით განკარგავს მის ქონებასა და ფინანსებს). მატერიალური რესურსების შესყიდვა ხორციელდება ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი კომპანიებიგან. შესყიდვის პროცედურას გეგმავს, მოლაპარაკებებს აწარმოებს და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ზედამხედველობას უწევს აკადემიის დირექტორი.

7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

შპს „თეგეტა აკადემიის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესის - მუხლი 5-ით.- განსაზღვრულია მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება და განკარგვის პროცედურები, რაც გულისხმობს აკადემიის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციას და შეფასება-შემოწმების შედეგების გამოყენებას ხარისხის მართვის მიზნებისთვის.

წარმოდგენილი წესის თანახმად ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს: გეგმიური (პროგნოზირებული) და არაგეგმიური (მოულოდნელი). გეგმიური ინვენტარიზაცია ტარდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, ხოლო მიულოდნელი ინვენტარიზაცია ტარდება სტიქიური უბედურების და სხვა არაორდინალური მოვლენების შემდეგ, შემოწმების ჩატარების მიზნით.

მატერიალური რესურსის განკარგვა ხდება დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც გასაუბრების დროს დაადასტურა, რომ შეფასება-შემოწმების შედეგები გამოიყენება სამომავლო შესყიდვების დასაგეგმად ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება შეკეთების უზრუნველსაყოფად.

აკადემიამ წარმოადგინა გეგმიური (პროგნოზირებული) ინვენტარიზაციის დოკუმენტი, რომელიც ჩატარდა 2022 წელს სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, განისაზღვრა ინვენტარიზაციის ობიექტი და ჩატარების ვადები. გეგმიური ინვენტარიზაცია ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის და არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგად დადასტურდა აკადემიაში შიდა მექანიზმების არსებობა, რაც მიმართულია მატერიალური რესურსის განვითარება-შენარჩუნებაზე და რისთვისაც სხვა მექანიზმებთან ერთად, შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკადემიის მატერიალური რესურსების დაზიანების ფაქტის დადგენისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული პირის დისციპლინური წარმოების შედეგების მიხედვით, შესაძლოა კონკრეტულ პირს მოეთხოვოს აკადემიისთვის მიყენებული ზიანის ანაზრაურება.

8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერებისას დადგინდა, რომ მოწყობილია 2 სანიტარული კვანძი მამაკაცებისა და ქალბატონებისთის. ერთერთ მათგანი ადაპტირებულია შშმ პირისთვის. მათში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, აქვს ვენტილაცია, ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და პერსონალისთვის.

9 ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ შენობაში არსებულ ყველა სივრცეში, აუდიტორიაში და ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

აკადემიის ყველა სივრცე ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.

11 მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
რამდენადაც თეგეტა აკადემიას მხოლოდ საავტომობილო მიმართულების პროფესიული პროგრამებზე აქვს მოპოვებული განხორციელების უფლება, ბიბლიოთეკაში განთავსებულია მხოლოდ საავტომობილო სფეროში არსებული სასწავლო რესურსი. თეგეტა აკადემიას გააჩნია სპეციალურად მოწყობილი სივრცე ბიბლიოთეკისთვის, საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს როგორც ციფრულ ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ ინფორმაციას და ინტერნეტრესურსებს, ხელმისაწვდომია ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით საატომობილო ბრენდული კომპანიებისა და ქარხანამწარმოებლების რეკომენდაციების კრებულები, ინსტრუქციები. საბიბლიოთეკო სივრცეში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10.00 დან 18.00 საათამდე.
ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში და განთავსებულია ვებგვერდზე. შესაბამისად მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორი)

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- შპს თეგეტა აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართის აზომვითი ნახაზები;
- აკადემიის ვებგვერდი;
- შპს „თეგეტა აკადემიის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესი;
- ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე;
- შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება N198;
- დასუფთავების მომსახურებაზე გაფორმებული შეთანხმება (03. ივლისი, 2020წ.) შპს „თეგეტა მოტორსს“, შპს „თეგეტა აკადემიას“ და შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტსა“ შორის;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში;
- უსაფრთხოების მიმართულების მომსახურების დანართი 1.8.;
- შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საფუძველზე გამოცემული ბრძანების N213/1 - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე - თანახმად, შპს „თეგეტა აკადემიის“ სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად, აკადემიის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე, დაინიშნა შპს თეგეტა მოტორსის“ უსაფრთხოებისა და მონიტორინგის ოფიცერი. მასვე დაევალა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველყოფა.

„შპს ბალავარის“ მიერ შესწავლილ იქნა შენობის, რომელშიც განთავსებულია შპს თეგეტა აკადემია, კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და დეტალური ანალიზის შედეგად 2021 წლის 15 ივნისს დაიდო დასკვნა, რომლის თანახმად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხი იძლევა იმის გარანტიას, რომ შპს „თეგეტა აკადემია“-ს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის შენობა აღიარებულია უსაფრთხოდ მისი ექსპლუატაციის პერიოდში 50 წლიანი ვადით. აკადემიამ წარმოადგინა ასევე შსს - სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ ჩატარებული "თეგეტა აკადემიის" მფლობელობაში არსებული ფართის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება - გამოკვლევის შედეგები. 2020 წლის 22 ოქტომბრის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგებზე შედგენილი N 90 აქტით დადგინდა, რომ შპს "თეგეტა აკადემია"-ს (ს/ნ 405237122) მფლობელობაში არსებული ფართის (ს/კ 01.72.14.013.442; 3 (სამი) სართულიანი შენობის მე-3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სართულზე 284 კვ. მ) ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების და სხვა სტანდარტების მოთხოვნებს.

სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტის თანახმად აკადემიის თანამშრომლებს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად გავლილი აქვთ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით. შესაბამისი ბრძანებით დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის საევაკუაციო გზებზე და გასასვლელებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი „112“, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად ფართი დაკომპლექტებულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით „ცეცხლმაქრებით“, საევაკუაციო გასასვლელებში არსებული კარების გაღების შესაძლებლობა გათვალისწინებულია შენობიდან გასვლის მიმართულებით, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს, ობიექტის ელექტრო მოწყობილებების და ელექტროქსელების ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილბს ელექტროდანადგარების მოწყობის წესებს. ობიექტზე დამონტაჟებულია სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია კვამლზე მორეაგირე დეტექტორებითა და საევაკუაციო გასასვლელებში ხელის სახანძრო ღილაკების მოწყობით, სახანძრო სიგნალიზაციის, სიგნალის მიმღებ მაკონტროლებელი აპარატი/მართვის პანელი განთავსებულია ტერიტორიის დაცვის საგუშაგო შენობაში, მეთვალყურეობის ქვეშ, დამონტაჟებულია ავტონომიური კვების მქონე საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებლები და ავარიული განათება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, თუმცა რამდენდაც თანამშრომელთა ძირითადი შემადგენლობა შეცვლილია, აკადემიის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია ახალი თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საფუძველზე, თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე - აკადემიისთვის სხვა პირებთან ერთად გამოიყო პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით. და განისაზღვრა მომსახურების პირობები (დანართი 1.8. შესაბამისად). პასუხისმგებელი პირი პაციენტის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია: ა) თავად აღმოუჩინოს მას პირველადი სამედიცინო დახმარება; ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ აცნობოს აკადემიის პერსონალს, რათა მათ მოახდინონ პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პაციენტის გასინჯვის პროცესში დაიცვას სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, ხოლო მედიკამენტები გამოიყენოს მხოლოდ მათი ვარგისიანობის ვადის გადამოწმების შემდგომ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში არ არის გამოყოფილი სივრცე სამედიცინო მომსახურებისთვის, თუმცა წარმოადგინეს სამედიცინო ჩანთა, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი საშუალებებით და მედიკამენტებით

3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საფუძველზე, თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე - აკადემიისთვის გამოიყო სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. უსაფრთხოების მიმართულების მომსახურების (დანართი 1.8.); შესაბამისად „თეგეტა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოტორსი“ იღებს ვალდებულებას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვაზე, რაც გულისხმობს: დამკვეთის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; დამკვეთის მფლობელობაში არსებულ ობიექტზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას და სხვა. შპს თეგეტა აკადემიამ წარმოადგინა შპს თეგეტა მოტორსის გენერალური დირექტორის 2019 წლის 20 მარის N 057 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო კრიზისული სიტუაციების მართვის დოკუმენტი, რომლის მიზანია დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. **დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული კოპეტენტურ ორგანოსთან, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე აკადემიაში უნდა შეიქმნას საგანგებო რეაგირების შტაბი და განაწილდეს ფუნქციები. შესაბამისად ქვესტანდარტი დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც - არ შეესაბამება. თუმცა, თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს, შესაბამის სტრუქტურებთან საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 02.07.2023 – 30.12.2023 (6 თვე).**

4 **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „თეგეტა მოტორს“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აკადემიის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე. თეგეტა აკადემიის დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, როგორც ვიდეოთვალთვალის გზით, ასევე, ცოცხალი ძალით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მიერ გამოყოფილი შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია/ვალდებულია: ა) განახორციელოს დაცვის ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაცია და კონტროლი მათ გამართულ მუშაობაზე; დაუყოვნებლივ შეატყობინოს IT სპეციალისტს და აკადემიის დირექტორს დაცვის ტექნიკური საშუალების გაუმართავად მუშაობის შესახებ; ბ) უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ დაუშვას აკადემიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა. გ) აწარმოოს აკადემიის შესასვლელ-გამოსასვლელების კონტროლი და ადევნოს თვალყური შემსვლელ და გამსვლელ პირებს. ამავდროულად, არ დაუშვას დაცვის ობიექტზე აშკარა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ზემოქმედების ნიშნების მქონე და შეიარაღებულ პირთა შესვლა/ყოფნა; დ) აღკვეთოს აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, ასევე, თამბაქოს მოხმარება კანონმდებლობით აკრძალულ ადგილებში, აღნიშნული საშუალებების მომხმარებელ პირებს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს აკადემიის ტერიტორია; ვ) მეთვალყურეობა გაუწიოს წესრიგისა და უსაფრთხოების წესების დაცვას სასწავლი პროცესში და უზრუნველყოს იმ პირთა მიერ შენობის დატოვება, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხელს უშლიან; ზ) წესრიგის დარღვევისას გამოიყენოს კანონმდებლობით დაშვებულ ყველა ღონისძიება წესრიგის დამრღვევის მიმართ, ხოლო სამართალდარღვევის/დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს დასახმარებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას (112). თ) უზრუნველყოფს აკადემიაში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელ და შესაძლო ზომა მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად; ი) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს დახმარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის ტერიტორიაზე მათი შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილება.

წესრიგის დაცვის წესები გაწერილია შრომისა და სასწავლო შინაგანაწესშიც - მუხლი 16. შრომის დისციპლინის დაცვა და დისკრიმინაციის აკრძალვა და მუხლი 22. სტუდენტის ქცევის წესი, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში, ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის შედეგად, ასევე აკადემიის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 საუძველზე გამოცემული ბრძანება N213/1 - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე;
- სახანძრო უსაფრთხოების აქტი N90 2020 წლის 2 ოქტომბერი;
- შრომისა და სასწავლო შინაგანაწესი;
- თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება - შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6 პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

შპს თეგეტა აკადემიის მფლობელობაშია 2 კომპიუტერი და 28 ლეპტოპი. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო (wifi) ქსელი. კომპიუტერების პარამეტრები სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. აკადემიის მლობელობაშია ასევე 3 პრინტერი (2 შავი და 1 ფერადი), 1 მაგნიტური დაფა გორგოლაჭებზე (მბრუნავი, ორმხრივი, მარკერითა და ცარცით საწერი მხარეებით 60x90სმ), მაგნიტური თეთრი დაფა, 1 დიდი მონიტორი, 3 პროექტორი და სხვა

შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების N0198 თანახმად „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორისაა IT&SAP მომსახურება (ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საპის პროგრამასთან დაკავშირებული მომსახურება, დანართი 1.7 შესაბამისად), რომელშიც შედის ინტერნეტით უზრუნველყოფა, IT მხარდაჭერა, პროგრამული მხარდაჭერა, პროცესების მართვის სიტემა, პროგრამა ორისი (ORIS).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ სრული მხარდაჭერა აქვთ შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი IT სპეციალისტების მიერ, რომლებმაც აკადემიას, განსაკუთრებული დახმარება გაუწიეს სტუდენტთა მიღების (გასაუბრებების) ეტაპზე, როდესაც სრული დატვირთვით მუშაობდნენ უხარვეზოდ წარმართვისთვის, ვინაიდან აპლიკანტთა ქულები პლატფორმაში ისახებოდა გასაუბრების დასრულებისას. აღნიშნული ამოცანა ეხმიანებოდა პერსონალის მონაცემდა დაცვას, რაც უხარვეზოდ მიმდინარეობდა. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა eFlow უზრუნველყოფს აკადემიის ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესების მხარდაჭერას.

2 შპს ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

აკადემიაში განთავსებული კომპიუტერები და ლეპტოპები აღჭურვილია ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ტექნიკის ინფრასტრუქტურაზე მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებენ შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი IT სპეციალისტები. ხელშეკრულების თანახმად ისინი შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებენ კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას და საჭიროების შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას დაზიანებული სისტემების შეკეთებისა და ახლით ჩანაცვლების შესახებ.

3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

შპს „თეგეტა აკადემიას“ შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომლის ახალი რედაქცია დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით N433[3], 2023 წლის 22 მარტს. დოკუმენტი აყალიბებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს და მექანიზმებს. მონაცემთა დაცვის მექანიზმის დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება აკადემიაში დასაქმებულ პირებზე, პროფესიულ სტუდენტებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებზე და ასევე სხვა პირებზე, რომლებიც აკადემიის სახელით ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას. წარმოდგენილი დოკუმენტით და დირექციასთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ აკადემიაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

დოკუმენტით განსაზღვრული ყველა წესი შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს და მასში გათვალისწინებულია სუბიექტის უფლებები და ინტერესები.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აკადემიის ყველა თანამშრომლის, ასევე პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია პუნქტი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ და ყველა მათთგანს გაცხადებული აქვს თანხმობა ამასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება ხელმოწერით.

4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

IT ტექნიკის რეგულარულ შემოწმებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები არიან შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი IT სპეციალისტები. გასაუბრების შედეგებით ირკვევა რომ ისინი რეგულარულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, დაწესებულების მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა მიმოწერები თეგეტა მოტორსთან. ანალიზით დასტურდება, რომ საჭიროებების გათვალისწინებით აკადემია რეგულარულად იღებს IT მომსახურებას გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე თეგეტა აკადემიის შესაბამისი დეპარტამენტისგან.

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, <u>შემუშავდეს IT ტექნიკის მონიტორინგის გეგმა და ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანგარიშგება განხორციელდეს მოხსენებითი ბარათებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიაში ხელმისაწვდომია IT ტექნოლოგიების მომსახურება როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის - სასწავლო ან სამუშაო პერიოდში. აკადემიის B გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია სასწავლო რესურსები.

6 **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებისათვის აკადემიაში შექმნილია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმები, მათ შორის კორპორატიული მეილები. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის ასევე სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები, აკადემიის მიერ წარმოდგენილი მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აქტიურად გამოიყენება როგორც კორპორატიული ელექტრონული ფოსტა ასევე დახურული სოციალური ქსელის ჯგუფები. შესაბამისად დასტურდება, რომ პსდ უზრუნველყოფს სტუდენტებთან და პერსონალთან ინფორმაციულ კომუნიკაციას .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომპიუტერების, ლეპტოპების, ვიდეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- აკადემიის სოციალური გვერდი khttps://www.facebook.com/tegetaacademy/;
- ამოქმედებული კორპორატიული მეილები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- აკადემიის დირექტორის ბრძანებით N433[3] ახალი რედაქციით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „თეგეტა მოტორსის“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება N0198.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2 პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4 პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

აკადემიის დირექტორის ბრძანებით N433[1], 22.03.2023წ. დამტკიცებულია საქმისწარმოების წესის ახალი რედაქცია, რომელიც სრულად შესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. წესი განსაზღვრავს შპს „თეგეტა აკადემიაში" დოკუმენტების როგორც მატერიალური, ისე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სახით მიღების, აღრიცხვის, მომზადება-გაფორმების, მოძრაობის, გაგზავნის, შესრულებაზე კონტროლის განხორციელების, შენახვისა და გამოყენების პროცედურებს. პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისისთვის აკადემიაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, ხოლო ყოველდღიური საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც არ უკავშირდება პროფესიულ განათლებას, აკადემია უფლებამოსილია გამოიყენოს მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემა. საქმისწარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულია აკადემიის საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვას, ინფორმაციის გაცემას, მეთოდურ და ტექნიკურ მომსახურებას, დოკუმენტების დამუშავებას, არქივის წარმოებას და სხვა შესაბამის საქმიანობას. აკადემიაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას ახორციელებს საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი და მისი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია აკადემიის დებულებითა და წარმოდგენილი წესით.

წესი ვრცელდება აკადმემიის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა პერსონალისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. წესით განსაზღვრულია შემდეგი პროცედურები: დოკუმენტების მიღება, დამუშავება და რეგისტრაცია; კორესპონდენციის შესრულება და კონტროლი; დოკუმენტის შედგენა, ვიზირება და ხელმოწერა; ბეჭდების, შტამპებისა და ფაქსიმილეს გამოყენება; მომზადებული დოკუმენტების გაგზავნა; დაწესებულების წევრთა პირადი საქმეები; პროფესიული დიპლომების ფორმების შენახვისა და გაცემული დიპლომების აღრიცხვის წესი; მსმენელისთვის სერტიფიკატის ფორმების და გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვის წესი; დოკუმენტების არქივში გადაცემა, საქმეთა დამუშავება; პასუხისმგებლობა საქმისწარმოების წესის დარღვევისათვის. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სახეობების მიხედვით დოკუმენტაციის შექმნისა და აღრიცხვის წესი.

ამავე წესით განსაზღვრულია ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურა, რომლის თანახმად: საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში აღრიცხავს თეგეტა აკადემიის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებების დოკუმენტბრუნვა ხორციელდება მატერიალურად. ხელშეკრულებას ხელს აწერს აკადემიის დირექტორი, ან მისი ბრძანებით/მინდობილობით განსაზღვრული პირი. ხელშეკრულებების რეესტრში მიეთითება. ა) კონტრაქტორი და კონტრაქტორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი/ცვლილების შეტანის თარიღი; ხელშეკრულების რეგისტრაციის ნომერი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ რიგი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმისწარმოების წესი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით მოთხოვნილ წესებს, საქმისწარმოების პროცესი არ მიმდინარეობს წესის შესაბამისად. არ მიმდინარეობს გამოცემული აქტების, კერძოდ შემოსული განცხადებების, მოხსენებითი/სამსახურებრივი ბარათების, ანგარიშების (მაგ.პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის), ასევე ხელშეკრულებების აღრიცხვა. 2021 წლიდან არ არის აღრიცხული პერსონალთან გაფორმებული არცერთი ხელშეკრულება. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაწესებულების მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესის მიხედვით არ მინდინარეობს მათი სწორად აღრიცხვა (შესაბამისი ინდექსის მინიჭება). შესაბამისად ქვესტანდარტი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც - არ შეესაბამება.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეგეტა აკადემიის მიერ წარმოდგენილ, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, 6 თვიანი გეგმის თანახმად, დაგეგმილია ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელშიც მითითებულია შესრულების ვადა, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდრტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზი, შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია; უზრუნველყოს, 2021 წლიდან მოყოლებული გამოცემული აქტების (ხელშეკრულებები, განცხადებები, ანგარიშები, ცნობები, მოხსენებითი/ სამსახურეობრივი ბარათები და სხვა) აღრიცხვა საქმისწარმოების დამტკიცებული წესის შესაბამისად, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 15.09.2023 პერიოდით (2 თვე).

2 პპსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;
აკადემია უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, რაც გულისხმობს კომპიუტერებით, პრინტერებით აღჭურვილ აუდიტორიებსა თუ ადმინისტრაციულ კაბინეტებს. ბუღალტერია სარგებლობს ORIS ელექტრონული პროგრამით, საქმისწარმოებისათვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური ფორმის დოკუმენტ ბრუნვასთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონულ სისტემა e-flow. სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის კოლეჯი იყენებს სოციალური ქსელებს, ელექტრონულ ფოსტას info@tegetaacademy.ge, საკუთარ ვებგვერდს https://tegetaacademy.edu.ge, სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/tegetaacademy/

3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აკადემია უზრუნველყოფს მართვის საინფორმაციო სისტემაში „eflo"-ში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ წესებისა და ვადების დაცვით ასახვას.

4 პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით" დადგენილი შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსს. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში „eflow"-ში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ასევე დადასტურდა რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები:
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1 **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს**

აკადემია საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის დამყარების მიზნით იყენებს ვებ-გვერდს მისამართზე: http://tegetaacademy.edu.ge/, ელექტრონულ ფოსტას info@tegetaacademy.ge, სოციალურ ქსელებს, კერძოდ, ფეისბუქ გვერდს: https://www.facebook.com/tegetaacademy/ და ლინქდინის გვერდს: https://www.linkedin.com/company/tegeta-academy.

სამივე გვერდი წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი). ორივე პლატფორმის შემთხვევაში შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, კოლეჯის სტრუქტურის შესახებ. შესახებ. ჩატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები 2017 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ და სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (განთავსებულია ინფორმაცია 3 ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება; ძრავის შეკეთება; სავალი ნაწილის შეკეთება); თეგეტა აკადემიის ანტი-კრიზისული გეგმა 2020; პროფესიული დიპლომის ფორმა, 2022 წელს შპს „თეგეტა აკადემიის“ დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესი, 2022 წლის ტესტურ დავალებათა ნიმუშები პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის; და სხვა. განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ასევე ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება-გადამზადების პროგრამების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის, კოლეჯის სტრუქტურის, დამფუძნებლების, ისტორიის შესახებ.

ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელია შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი პირი - ქსელის ადმინისტრატორი. ვებ-გვერდების და სოციალური ქსელის მართვის, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარკეტინგის მენეჯერი, რომელიც კომპეტენტურ სამსახურს შეუთანხმებს განსათავსებელი ინფორმაციის სიზუსტეს. ვებ-გვერდზე განთავსებული/განსათავსებელი ინფორმაციის განხილვისა და განახლების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიის დირექტორი და დაინტერესებული სამსახურები

კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და ვიდეო მასალების განთავსებისას დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

<u>კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია არა მხოლოდ აკადემიის შესახებ არამედ აკადემიის ფარგლებში არსებულ სატრენინგო ცენტრის შესახებ, რომლის გამიჯვნა როგორც სიახლეების ველში, ასევე წარმატების ველში სირთულეს წარმოადგენს, ხოლო ვიდეო გალერეაში წარმოდგენილია მხოლოდ სატრენინგო ცენტრის მიერ ჩატარებული პროექტები. ამ თემასთან დაკავშირებით აკადემიას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია: გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამიჯნოს აკადემიის და სატრენინგო ცენტრის ველები ერთმანეთისგან, ასევე სიახლეების ველში განთავსებულია სულ 4 ნიუსი, არცერთ მათგანს არ აქვს მითითებული გამოქვეყნების თარიღი, ვინაიდან კოლეჯის ვებ-გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად უნდა ასრულებდეს საინფორმაციო ფუნქციას, სასურველია შესაბამისი ინფორმაცა განთასდეს გონივრულ ვადებში, თარიღის მითითებით .</u>

2 **დაწესებულებას, რომლის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

არც მისიით და არც სტრატეგიული გეგმით არ არის განსაზღვრული უცხოენოვანი და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, თუმცა აკადემიას შექმნილი აქვს ინგლისურენოვანი https://tegetaacademy.edu.ge/en/library და რუსულენოვანი https://tegetaacademy.edu.ge/ru/news გვერდები, სადაც განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ.

3 **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N433[3], 22.03.2023), რომელიც ადგენს შპს „თეგეტა აკადემიაში“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტანდარტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს, მექანიზმს და პროცედურას. საზოგადოებასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია აკადემიის საქმისწარმოებისა და ოპერაციული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი. შესაბამისად, საზოგადოებასთან და მასმედიასთან კომუნიკაციას ამყარებს პასუხისმგებელი პირი. წესი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი განხორციელების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და აკადემიის ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. აღნიშნული წესით განისაზღვრება სანდო, უტყუარი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტთა მიერ განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება, გადამოწმდა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დადგინდა რომ აკადემია ძირითადად უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე http://tegetaacademy.edu.ge/ და მასში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. **რამდენადაც კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, სასურველია მასში აისახოს მნიშვნელოვანი მესიჯები დაწესებულების, მისი მიზნების, მისწრაფების შესახებ. <u>კატალოგი ასევე სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის, დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ.</u>**

5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს აკადემიამ 2019 წელს ავტორიზაცია მოიპოვა სამი პროგრამით და მას მერე სხვა პროგრამა არ დაუმატებია. კატალოგი განთავსებულია ვებგვერდზე და ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში განხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კატალოგში არის ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ - **სამედიცინო მომსახურებისთვის - თეგეტა აკადემიაში სტუდენტთათვის ფუნქციონირებს სპეციალურად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი სადაც პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ასევე პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. აღნიშნული სერვისი ემსახურება სტუდენტთა და პერსონალის ჯანმრთელობას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს**.- რამდენადაც ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის ფართში პირველადი სამედიცინო დახმარების სპეციალურად მოწყობილ სივრცე არ არსებობს. იხ. 5.1.2.2. (ის განთავსებულია თეგეტა მოტორსის სივრცეში) სასურველია ჩანაწერი ამოღებული იქნას კატალოგიდან.

6 **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების და სხვა დაინტერესებული პირების უკუკავშირი, მათი მიწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. აკადემიამ წარმოადგინა მიმოწერების „სკრინშოტები“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;
- აკადემიის მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შემოწმების შედეგები;
- განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

შეფასება:

■ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

აკადემიის შემოსავლის წყაროა, როგორც პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება, ასევე სატრენინგო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგებით შემოსული თანხების ნაწილი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი, განსაზღვრულია დაწესებულების, როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და მოგების წილი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია ფინანსური მენეჯერი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით, ანგარიშებით დაფინანსების დინამიკის ანალიზით ჩანს, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2 საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

თეგეტა აკადემიამ განახლებული ფინანსური ანგარიშებიდან გამომდინარე, ობიექტურად შეაფასა და დეტალურად გაწერა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს თეგეტა აკადემიამ პირველად მოიპოვა სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც მიემართა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ხარჯებში. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის, როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით, რასაც უზრუნველყოფს როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაუჩერული დაფინანსება, ასევე შპს თეგეტა აკადემიის მიერ სატრენინგო მომსახურებით მიღებული შემოსავალი, რომლის ძირითადი დამკვეთია შპს „თეგეტა მოტორსი“.

3 დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელსაც განათავსებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულება დამფუძნებლებს ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს. დირექტორთან გასაუბრების და წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად (წლიური ბიუჯეტები, დაფინანსების დინამიკა, სატრენინგო პროგრამების ფინანსური ანგარიშგებები) დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

4 დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს დაწესებულების ვებგვერდზე. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდგომ აქტივობებს, ანუ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინა წლის შედეგების, აუთვისებელი ფინანსები და ისე იგეგმება ახალი წლის ბიუჯეტი, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის ბრძ. № 394; 09.14.2022; ცვლილება ბრძ. № 446; 18.05.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 129

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს თეგეტა აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაიმატა 2019 წლის 17 იანვრის პროფესიული საგანმაანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N4 გადაწყვეტილებით, შპს თეგეტა აკადემია პროგრამას „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ახორციელებს დუალური მიდგომით შპს თეგეტა მოტორსთან პარტნიორობით. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმადაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მისამართზე ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N129.

2019 წლის მიღების ფარგლებში დაწესებულებამ პროგრამაზე მიიღო 20 პროფესიული სტუდენტი, აქედან 2021 წელს 11 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, 11-იდან 9 პროფესიული სტუდენტი წარმატებით დასაქმდა და ამჯერადაც მუშაობს თეგეტა მოტორსში. 2020 წელს მიღება არ განხორციელებულა, ვინაიდან პროგრამა 2 წლიანია და დაწესებულებას არ ჰქონდა თავისუფალი ადგილები, ხოლო 2022 წლის მიღების ფარგლებში თეგეტა აკადემიამ გამოაცხადა მიღება 15 ვაკანტურ ადგილზე. პროგრამაზე რეგისტრაცია გაიარა 116-მა აპლიკანტმა. დარეგისტრირებული 116 აპლიკანტიდან 88 აპლიკანტმა პირველ ადგილზე მონიშნა თეგეტა აკადემია, მეორე ადგილზე - 13 აპლიკანტმა, ხოლო მესამე ადგილად 15-მა აპლიკანტმა. ჩაირიცხა სულ 15 პროფესიული სტუდენტი და აქედან 13 აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სტატისტიკა ნათლად აჩვენებს თუ რამდენად მოთხოვნადია როგორც პროფესია, ისე შპს „თეგეტა აკადემია“, რომელიც საქართველოში ერთადერთი პსდ-ა, რომელიც დუალური ფორმით ახორციელებს ზემოაღნიშნულ პროფესიულ პროგრამას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან პროგრამის დამატებას, ნებისმიერი სახის ცვლილებას, პროფესიულ სტუდენტთა მიღებას, პრაქტიკას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას, გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს თეგეტა აკადემია და შპს თეგეტა რითეილი ერთობლივად ახორციელებენ - პსდ-ს გადაწყვეტილება დაეფუძნა დამსაქმებლის მოთხოვნებს.

შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის 2023 წლის 22 აპრილის ბრძანება № 434[1] ცვლილებებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროცედურის, შემუშავების ინსტრუქციის და დამტკიცების პროცედურის“ თანახმად, დაწესებულების მიერ პროგრამის ცვლილებები განხორციელდა პროცედურების დაცვით, პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

პროგრამა ეხმიანება აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ აკადემიის მისიაა საავტომობილო ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება, საავტომობილო მიმართულებით პროფესიული კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებელების მონაწილეობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მიზანი და მისი შესრულების ინდიკატორი (ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავება, პროგრამის შეფასება და მონიტორინგი) ითვალისწინებდა 2019 წელს აღნიშნული პროგრამის დამატებას. შესაბამისად, **დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2 **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაშვების წინაპირობა (საბაზო განათლება) სრულ შესაბამისობაში მოდის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2022 წელს გამოცხადდა მიღება დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. აპლიკანტთა შერჩევისთვის განისაზღვრა ორეტაპიანი შეფასების სისტემა: ტესტირება და გასაუბრება. 2022 წლის 29 აგვისტოს, თეგეტა აკადემიის სასწავლო სივრცეში გაიმართა **შიდა ტესტირება** უცხო ენასა (ინგლისური ან რუსული) და უნარებში (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი) თითოეული ნაწილი შედგებოდა 20 საკითხისგან, თითოეული კითხვა ფასდებოდა ერთი ქულით, ჯამში აპლიკანტს შესაძლებლობა ჰქონდა დაეგროვებინა მაქსიმუმ 60 ქულა. ტესტირების დროდ განისაზღვრა 1 საათი და 30 წუთი. ყოველი ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო ტესტის განსხვავებული ვარიანტი, (სულ სამი ვარიანტი რაოდენობის შესაბამისად), რათა ტესტირება ყოფილიყო სამართლიანი, გამჭვრივალე და სანდო. 116 დარეგისტრირებული აპლიკანტიდან ტესტირებაზე გამოცხადდა 62 აპლიკანტი. საგამოცდო ეტაპმა ჩაიარა ხარვეზების გარეშე, მშვიდ გარემოში.

საგამოცდო კომისიის მიერ ტესტები შემოწმდა 30 აგვისტოს სრულად. აღნიშნულის შემდეგ ქულები სრულად იქნა ასახული პროგრამაში, ტესტირებაში მაქსიმალური ქულა იყო 58, ხოლო მინიმალური 15. დადგენილი მინიმალური ზღვარი (15 ქულა) გადალახა ყველა აპლიკანტმა. **შერჩევის მეორე ეტაპი - მოტივაციური გასაუბრება:** მოტივაციური გასაუბრებების დაწყებამდე, დაწესებულების მიერ განისაზღვრა შერჩევის პროცესის ადმინისტრატორი და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. გასაუბრების თარიღები განისაზღვრა 5 სექტემბერი - 13 სექტემბერი. აპლიკანტთა რაოდენობიდან გამომდინარე, გასაუბრებები ჩატარდა ეტაპობრივად, თითოეულ აპლიკანტთან ინდივიდუალურად, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. 62 აპლიკანტიდან გასაუბრებაზე არ გამოცხადდა 6 აპლიკანტი. ბრძანებით განისაზღვრა კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, დაწესებულების მიერ განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამური შეფასების 25%.

საბოლოოდ, გასაუბრების ეტაპი ვერ გადალახა თხუთმეტმა აპლიკანტმა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 47 აპლიკანტმა. ტესტირების და გასაუბრების ქულები აისახა ონლაინ პლატმორმაზე (vet.emis.ge), ტესტირების ქულები აისახა ტესტირებების სრულად დასრულებისა და შემოწმების შემდგომ, ხოლო გასაუბრების ქულების ასახვა დაევალათ კომისიის წევრებს, რომელთაც ინდივიდუალურად ონლაინ ფორმატში შეჰყავდათ მიღებული ქულები გასაუბრების დასრულებისთანავე. სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ტესტირებისა და გასაუბრების ქულების დაჯამების შედეგად, შედგა საბოლოო რეიტინგული სია, დირექტორის ბრძანებით 15 სტუდენტი ჩაირიცხა თეგეტა აკადემიაში.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელება წარმოებს დუალური მიდგომით, რაც თავისთავად მოითხოვს აკადემიის საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის მზაობას გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორები, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა. აკადემიის ბაზაზე წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება, რისთვისაც დაწესებულების საკუთრებაში არსებობს ზღვრული ოდენობის შესაბამისი A , B და C გარემო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის შესაბამის დონეზე წარმართვისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გარემო მხოლოდ მოცემულ პროფესიულ პროგრამას ემსახურება და არაა დატვირთული სხვა სალექციო პროცესით. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია წარმოდგენილია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ ოდენობაზე გაცილებით მეტი სამუშაო ადგილით და შესაბამისი აღჭურვილობით. შესაბამისად პროგრამის განხორციელების მდგრადობას ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით საფრთხე არ ემუქრება. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის აკადემიის საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით.

5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება'' წარმოდგენილია არჩევითი მოდულების გარეშე.

6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

შპს ,,თეგეტა აკადემია" - ს დირექტორის 2023 წლის 22 აპრილის № 434[1] ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროცედურის, შემუშავების ინსტრუქციის და დამტკიცების პროცედურის" თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი, შესაბამისად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ - შპს ,,თეგეტა აკადემია" - ს დირექტორის ბრძ. № 394; 09.14.2022; ცვლილება ბრძ. № 446; 18.05.2023, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ანალოგია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის კონცენტრაციისა **ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება. დაწესებულებას, აღნიშნული სახელწოდებით, პროგრამაზე ავტორიზაცია მიღებული აქვს 2019 წელს, მას შემდეგ სახელწოდება არ შეცვლილა.** რამდენადაც აღნიშნული პროგრამა შპს ,,თეგეტა აკადემიის“ კუთვნილებაა, ხოლო აკადემია დაფუძნებულია უშუალოდ შპს ,,თეგეტა მოტორსი“ - ს მიერ, კომპანიის საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ აღნიშნული პროგრამა საავტომობილო სფეროს ეხება.

<u>ვინაიდან პროგრამის შინაარსის მიხედვით საუბარია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაზე, ხოლო პროგრამის ამჟამინდელი დასახელება ზოგადია, მიზანშეწონილია პროგრამის დასახელება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემდგომი რეავტორიზაციის პროცედურების დაწყებამდე დაკორექტირდეს შემდეგნაირად ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.</u>

განმავითარებელი რეკომენდაცია: შემდგომი რეავტორიზაციისთვის დაკორექტირდეს პროგრამის სახელწოდება შემდეგნაირად ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

აკადემიის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-პ საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები,მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება, რომელიც წარმოადგენს პროფესიული მოდულების საერთო რაოდენობის 50%, ასევე, წარმოდგენილია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამასა და მოდულებში ექსპერტთა მიერ აღმოჩნდა ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რის შესახებაც ეცნობა დაწესებულებას. პსდ-მ გაითვალისწინა ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია და მოახდინა პროგრამების მოდიფიცირება, ცვლილება ბრძ. № 446; 18.05.2023. შესაბამისად საგანმანათლებლო **პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დირექტორის ბრძ. № 394; 09.14.2022; ცვლილება ბრძ. № 446; 18.105.2023;
- შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის 2023 წლის 22 აპრილის № 4341 ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროცედურის, შემუშავების ინსტრუქციის და დამტკიცების პროცედურის“ დამტკიცების შესახებ;
- შრომის ბაზრის კვლევა 2018 წელი;
- შპს თეგეტა აკადემიის მისია და სტრატეგია;
- შპს „თეგეტა აკადემიის“ სტრუქტურული ერთეულების დებულება, ბრძანება №0449, 20.05.2023;
- დაწესებულების წარმომადგნელებთან ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. კერძოდ ირკვევა, რომ დაწესებულების საკუთრებაშია სრულფასოვნად აღჭურვილი A, B და C გარემო, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით და არაა აუცილებელი C გარემოს არსებობა აკადემიის საკუთრებაში, მოცემულ გარემოს მაინც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული სტუდენტისთვის უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის გაცნობისა და მასთან შეგუების მიზნით. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განსახორციელებლად საჭირო რესურსს, დაწესებულებას ამ მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ 05/09/2018, № 05.09.2018-1. ამ ეტაპზე მოცემულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების (შეთანხმება 19.05.2023) საფუძველზე შპს ,,თეგეტა აკადემია“ პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განსახორციელებლად იყენებს შპს ,,თეგეტა რითეილი“ - ს მატერიალურ ტექნიკურ ბაზას. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა და შესაბამისობა მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შედეგად დგინდება, რომ მოთხოვნილი 15 სტუდენტისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს და მისი პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოცემულ პროგრამაზე დუალური მიდგომით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ადამიანური რესურსით უზრუნველყოფილია განხორციელების მიდგომის შესაბამისად, კერძოდ პროგრამის ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება მიმდინარეობს აკადემიის ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლების მიერ, ხოლო კონცენტრაციის მოდულების სწავლება ხორციელდება შპს ,,თეგეტა რითეილი" - ს ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების მიერ. პროგრამის ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი მოდულების და საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები" სწავლებას წარმართავს მხოლოდ ერთი პროფესიული მასწავლებელი, ვინაიდან შრომის კანონმდებლობით დასაქმებულს საჭიროებისამებრ უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულებით, საავადმყოფო ფურცლით და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიებებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებლები აღნიშნული მოდულებისთვის. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის მოდულებს მათ განსახორციელებლად პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია 12 ინსტრუქტორი, რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებლები პროგრამის ზოგადი მოდულებისთვის და საერთო პროფესიული მოდულისთვის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

შპს ,,თეგეტა აკადემია"-ში ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია აკადემიაში მოქმედ შპს ,,თეგეტა აკადემია" -ს დირექტორის 02.03.2023 წლის №428[1] ბრძანებით დამტკიცებულ ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის მთხოვნებთან, შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუქტორების კვალიფიკაციას, პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორები არიან მოქმედი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შემკეთებლები, რომელთაც აქვთ სწავლების გამოცდილება და მოტივირებულნი არიან დუალური მიდგომით განახორციელონ პრაქტიკული კომპონენტი.

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ შპს ,,თეგეტა აკადემია"-ს დებულებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელთან, გამოიკვეთა, რომ იგი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის განხორციელებაში და აცხადებს მზაობას იმუშაოს პროგრამის განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 09 სექტემბრის №395[3] ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, გარდა ამისა კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ელექტრონული სახითაა მოცემული ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე. უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად სასწავლო რესურსის არსებობისა მოდულებზე მიწერილია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული შეუსაბამო ლიტერატურა, რაც გარკვეულწილად ქმნის გაურკვევლობას, თუ უშუალოდ რომელი სასწავლო რესურსი გამოიყენება მოდულის სწავლებისას, ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოახდინოს აღნიშნული საკითხის გადახედვა და მოდულს მიაწეროს მათ საკუთრებაში არსებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული შესაბამისი ლიტერატურა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს მათ საკუთრებაში არსებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული ლიტერატურის მითითება შესაბამის მოდულებზე.

6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანება N428[1] დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: ა) გარე მობილობით (სხვა პროფესიული სასწავლებლიდან აკადემიაში გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება აკადემიაში და მიენიჭება სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; ბ) პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; გ) აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიენიჭება სსსმ ან შშმ პირს, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართვისა და შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ სასწავლო გეგმას და რესურსებს. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, რეგულაციის გადამოწმებით ჩანს საჭიროების შემთხვევაში **სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი, ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება'' ფინანსურად მდგრადია, დადგენილია რენტაბელობის ზღვარი 12 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და ტრენინგ ცენტრის შემოსავალი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დირექტორის ბრძ. № 394; 09.14.2022; ცვლილება ბრძ. № 446; 18.105.2023;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ 05/09/2018, № 05.09.2018-1;
- შეთანხმება შპს ,,თეგეტა რითეილ“ - თან, 19.05.2023;
- ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი“დირექტორის 02.03.2023 წლის №428[1] ბრძანება;
- შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის 2023 წლის 22 აპრილის № 434[1] ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროცედურის, შემუშავების ინსტრუქციის და დამტკიცების პროცედურის“ დამტკიცების შესახებ;
- ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, 09.09.2022, №395[3] ბრძანება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირების შედეგებით.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 17 მარტის N431[1] ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ახალი რედაქცია. სისტემა დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციულ პერსონალთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებულია ონლაინ კითხვარის ფორმები, რომელთა გამოყენებითაც ტარდება შეფასება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლი და პარტნიორი შპს თეგეტა რითეილის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა 2022 წლის მიღების ფარგლებში გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შედეგები, ასევე კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 90 %-მა, რაც არის ვალიდური მაჩვენებელი. გამოკითხულთა 85 % კმაყოფილია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებით და მომსახურებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ასევე სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც. მიმდინარე წელს დაგეგმილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული ყველა აქტივობის განხორციელება, უკუკავშირის და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით პროგრამის გადახედვა და საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებების განხორციელება. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების მიხედვით

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები დაწყებულია აღნიშნული ციკლის შესაბამისად. კოლეჯში მიმდინარე წელს დაგეგმილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და ანალიზის დოკუმენტის შედგენა, რაც გაწერილია ასევე სამოქმედო გეგმაში. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და გამოწვევების გადაწყვეტა დამსაქმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული პროცედურების დაცვით განახორციელა პროგრამაში ცვლილებები, შესაბამისად დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 17 მარტის N431[1] ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- შემუშავებული კითხვარები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

„ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გეგმის თანახმად პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 77 სასწავლო კვირა, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცხრილები შეიქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო პროცესზე დასწრება მოდულის: **„სამოქალაქო განათლება“,** სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა საგაკვეთილო გეგმა გრაფიკი - კალენდარული გეგმა, პროცესზე დაკვირვების ანალიზის, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ინტერვიურებით დასტურდება, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2 **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების წინ ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა და სასწავლო განრიგის გაცნობა. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებით დაადასტურეს რომ მეცადინეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განრიგი მორგებულია მათ საჭიროებებზე.ასევე გადამოწმდა პანდემიის პირობებში დაწესებულების რეაგირების გზები, მათ თეორიული კომპონენტის დისტანციურად ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს, რაც ნათლად გვიჩვენებს რომ აკადემია მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. აკადემიის ბაზაზე წარმოდგენილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის სტუდენტისათვის მიწოდების სიმარტივეს, გარდა ამისა სტუდენტებს აქვთ საშუალება ავტომობილის აღწერილობითი მოდულების სწავლებისას დეტალურად გაეცნონ თანამედროვე ავტომობილის სისტემებისა და კვანძების მოწყობილობას, მუშაობის პრინციპებსა და თავისებურებებს, რაც შესაძლებელს ხდის პრაქტიკული მოდულების დუალური მიდგომით შესწავლისას სტუდენტს გააჩნდეს საწყისი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული მოდულების განხორციელების პროცესში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ავტომობილის ელექტრული და ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აუცილებელ საინფორმაციო ბაზებთან, რასაც პარტნიორი ორგანიზაცია იყენებს, შესაბამისად მოცემული პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემია სრულად იყენებს სწავლებისა და სფეროს უახლეს მიღწევებს.

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ინდივიდუალურ საჭიროებად უნდა განვიხილოთ ყველა შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულებას არ ჰქონია მსგავსი პრაქტიკის გამოყენების საჭიროება. ექსპერტთა მიერ რეგულაციის გადამოწმებით დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ 05/09/2018, № 05.09.2018-1. ცვლილება 19.05.2023. ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციას შპს ,,თეგეტა მოტორსი“ - ს ნაცვლად წარმოადგენს შპს ,,თეგეტა რითეილი“, რომელიც ამავე დროს არის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ერთობლივად შპს ,,თეგეტა აკადემია“ - სთან შემმუშავებელი ორგანიზაცია. ხელშეკრულების შესაბამისად პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განხორციელებას, კერძოდ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, შენობა-ნაგებობების და შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების გამოყოფას. ექსპერტთა მხრიდან განხორციელდა შპს თეგეტა აკადემიასა და შპს თეგეტა რითეილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების განხორციელების პრაქტიკის გადამოწმება, დაწესებულებამ წარმოადგინა მიმოწერები, პრაქტიკის მიმდინარეობის ამსახველი მასალები, მათ შორის პარტნიორის მიერ ინსტრუქტორების გამოყოფის ბრძანება, პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები, პროფესიულ სტუდენტთათვის ხელფასის განსაზღვრის ბრძანება, რომელიც დინამიკაში მზარდი ციფრებით იყო წარმოდგენილი, რაც კურსდამთავრებულებმა გასაუბრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაადასტურეს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას რეგულაციებში ასახული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები.

6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას საგაბმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ C გარემოში განთავსებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, ძაბვისქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე დატანილია შესაბამისი პიქტოგრამები და გამაფრთხილებელი წარწერები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებით, ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად წარმოდგენილი გარემო აღჭურვილია იძულებითი ვენტილაციის ინდივიდუალური საშუალებებით, რაც ხელს უშლის გარემოში ჰაერის დაბინძურებას, სამუშაო პროცესში გამოიყენება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. ჩარჩო დოკუმენტის ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“ მიხედვით წარმოდგენილ დოკუმენტში ,,მატერიალური რესურსი“ მოცემულია მინიმალური აღჭურვილობისა და მასალა ნედლეულის ჩამონათვალი, შესაბამისად უშუალოდ პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სტუდენტთა დაცვის ინდივიდუალური საშუალებების შეძენა. ამდენად, დაწესებულების სასწავლო გარემოში მიღწეული იქნება უსაფრთხოების ზომების დაცვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ 05/09/2018, № 05.09.2018-1; შეთანხმება შპს ,,თეგეტა რითეილ“ - თან, 19.05.2023;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის აღმწერი პროცედურა გაწერილია შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის N434[2] ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების, შიდა მონიტორინგის მექანიზმების, შეფასების ადმინისტრირების საკითხების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესის შესახებ, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ. კოლეჯს ასახული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან/იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელი შეფასების განხორციელებამდე აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობს შედეგებს. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დღიურები, რომლებშიც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია, პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული აქტივობების და გამოყენებული რესურსების შესახებ.

ჩატარდა ინტერვიუები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის მიხედვით კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან შემუშავებული ფორმების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება , რომ დაწესებულებამ 2019 წლის ბოლოს ჩაატარა პირველი ვერიფიკაცია , რომელიც მოიცავდა შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია არ განხორციელებულა. შედეგების გათვალისწინებით კოლეჯმა განახორციელა შეფასების ინსტრუმენტებში ცვლილებები. დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს აქვს ვერიფიკაციის პროცესი დაგეგმილი, განხორციელდა ინტერვიურება ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაღ აღნიშნა რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ვერიფიკაციის პროცესი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის ფორმირება და რისკების იდენტიფიცირება, რის საფუძველზე გაიწერება ვერგიფიკაციის გეგმა გრაფიკი და დაიწყება პროცესი.

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების რეგულაციის შესაბამისად მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. რის შემდეგაც ხდება მისი განკარგვა დადგენილი წესით. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ. დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების აღრიცხვის წესი, ექსპერტებმა გადაამოწმეს რეგულაციის გამოყენების პრაქტიკა, უწყისები აღრიცხულია მატერიალურ ჟურნალში, რომელიც დანომრილია, აკინძულია და გაფორმებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად პერიოდულად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად იღებს უკუკავშირს, რომელიც აძლევს მას შესაბამის რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცედურა ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გასათვალისწინებელია მოდულური საგნმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა- გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა - 110

1.ვიზიტის დღის წესრიგი

2. საქმისწარმოების ნაწილში დასკანერებული მტკიცებულებები;

თარიღი

21.06.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: